

ლიტერატურული გაზეთი

№80 3 აგვისტო - 6 სექტემბერი 2012

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა

მე ვარ ვახტანგ არამეფე,
მე ვარ ვახტანგ მეათასე,
მე არასდროს გამიფენენ ხალიჩებს და ფიანდაზებს,
მაგრამ ვერკი შემაყოფნებს ხვიარა და ზეხვიარა, –
რაც არ უნდა იყოს, მაინც ექვსი მეფის სეხნია ვარ.
სული ჩემი მოლოდინის მეცამეტე საკანშია
და მეშვიდე – მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა – ვაკანსია.
თუ ჩემს საკარმიდამოში რომელიმე ჩავა ხიპი,
თუნდაც ჩვენებური იყოს, მაინც შევეჯავახები.
სიგელები მაქეზებენ – პაპის გადამალულები, –
უკან უნდა დავიბრუნო საჯავახოს მამულები.
არც შენ უნდა დაგივინყო, მშობლიურ ჯავახეთო,
მერე სახლში დავბრუნდე და სარკეებში ჩავიხედო.
მინდა ციდან რეკვასავით ჩამომესმას: ვივატ, ვახო! –
უფალს თავი შევაყვარო და ცოტახანს ვივახვახო.

IV-V

„რიტას სათამაშო ცხენი“ დეტექტიური პოემა. უფრო მართალი რომ ვიყო, ეს არის დეტექტიური ესე პოემის შესახებ, რომელიც ვერაფრით დავწერე. როგორც იცით, წაუკითხავ წიგნებს და დაუნერე ტექსტებს შურისძიება შეუძლიათ. ამიტომაც, მე, როგორც მშიშარა ადამიანი, ვერ მივატოვე შუა გზაში ეს პოემა და მასზე დავწერე ეს ნახევრადრონიული ტექსტი, რომლის ჟანრის გარკვევა თქვენთვის მომინდვია.

პაატა შამუგია

რიტას სათამაშო ცხენი

დეტექტიური პოემა სამი გვამით, ორი ავტორით და პირქუში გამომძიებლით

(ფრაგმენტები)

მე თანახმა ვარ, ბალახებმა გამოთქვან ჩემი სხეული ქარში,
გამოთქვან მწვანედ, ან ყავისფრად,
წელიწადის დროთა შესაბამისად
ამოთქვან ლექსივით, ეპოსივით,
პეპელასავით მსუბუქმა ალიტერაციებმა
იფარფატონ შედედებული სინტაქსის თავზე.

VII

შორენა ბერელიძე ჟენო — ჩემი ხაზიკა

ივე კუთხეში, როგორი სისწრაფითაც შეუძლიათ, მიბობდებიან და გაყურდებიან. ერთხელ გამოვდივარ ოთახიდან და ვხედავ, ჟენოს კარის წინ ექვსივე კუ ფეხებანული ზურგზე წევს...
— ჟენია დეიდა, ჟენია დეიდა, კუებს რა

მოს) ძილს ვერ დაგიფრთხობს; მაგრამ...
— ა, შე პარაზიტო შენა, ისევე აქ დაჯექი? — დაუნყებს ჩხუბს მობუზულ ვარიას ჯერ კიდევ თმადაუვარცხნელი ჟენო და სამუშაო საათებში ჩემი მალვითარას მართული ენთუზიაზმი წყალში იყრება...

ბას ასე ადვილად რომ ავუღე ალლო...
...აი, ჩემს შვილთან ერთად მოვედი; სულ პატარა იყო ეს ტრაგედია რომ მოხდა, მაგრამ ისე ჩაიზარდა მის ერთბუნო ტვინში ტკივილიანი და თან უცნაურად საშიში ამბავი, რომ კარგა ხანს მანქანის ხმაზე არ იცოდა სად დამალულიყო... ახლა საფლავზე მოვიდა და ზამბახები მოგიტანა; სანთელს მონდომებით გინთებს და გაუცნობიერებლად პირჯვარს იწერს, მერე ადგილს მითმობს, შენთან უფრო ახლოს რომ მოვიდე და გვერდით, ყვავილებში ჯდება... სველ ტილოს ფრთხილად ვუსვამ სურათს და ნუთით დაკარგულ გამოსახულებას ველი; ველი, რომ მოგიყვებ, რა ძნელი ყოფილა, მართლაც, ცხოვრება, რა ძნელი და რა ტკბილი; როგორ გაიქროლა წლებმა, როგორ შეიცვალა შენი შვილის გარეგნობასა და სულში ბევრი რამ; შენ კი... შენ ისევე ახალგაზრდა იცქირები ტკბილად, გულიანად, თბილად, ისე თბილად, რომ შენი წილი შავი მარმარილოც სხვანაირი მზით და შუქით იფერება... სულ მალე თანატოლები გავხდებით, საერთო და სასაუბროც, ალბათ, მეტი გვექნება, გრძელი და შფოთიანი წლით დაღლილი რომ გამოვექცევი ხოლმე ქალაქის აურზაურს, მოვალ აქ, ამ შენს პატარა კარმიდამოში და, როგორც უნინ, ლაპარაკით გულს მოვიჯვრებ...



პატარა, ასანთის კოლოფის ოდენა ოთახში სიბნელეა. კარის გვერდით ამოყვანილი ერთადერთი ფანჯარა ვერაფერს ცვლის, დილის მზე (ძალიანაც რომ მოინდომოს) ძილს ვერ დაგიფრთხობს; მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო დილის ტკბილ ძილს მაინც ვერა და ვერ გამოაცხობ (ამაზე ქვემოთ)... ეს ოთახი ჩემი ე.წ. ხაზიკის სახლის დანამატს წარმოადგენს...

ოთახიდან ცემენტისგან ეზოში გამოდის, ეზოც ისე პატარაა, როგორც „ჩემი საბრძანებელი“, თუმცა ეზოს მოცულობითი სიმცირე სულაც არ უშლის ხელს ჟენოს (ასე ვეძახით ჩემს ხაზიკას) ერთმანეთის გვერდიგვერდ მეგობრულად აცხოვროს ორი არცთუ მსუქანი ძაღლი: ვეფხო და ჯერი, ექვსი კუ, ერთიც ნაზი რხევით მოსიარულე ფისუნია და ოთხიოდ მოჩიტული ვარია...

გათენდება თუ არა:
— ა, შე პარაზიტო შენა, ისევე აქ დაჯექი? — დაუნყებს ჩხუბს მობუზულ ვარიას ჯერ კიდევ თმადაუვარცხნელი ჟენო და სამუშაო საათებში ჩემი მალვითარას მართული ენთუზიაზმი წყალში იყრება.

— რა ჯანდაბა არ გასვენებთ? ხორბალიც გიყრიათ და სიმინდიც, თქვე ამოსაწყვეტებო, თქვენა! — ახლა სხვა ვარიებს მიდგება და დანანებით გადახედავს ერთს — დაკოჭლებულს. რა ქნას, განა უნდოდა, მაგრამ გუშინ გაბრაზებულ გულზე, როგორც იტყვიან, ვარიას წვრილი ფეხი ხელზე შემოემტვრა, მერე კი მთელი დღე ფეხმოტეხილ ვარიას შეწუხებული სახით ხელში აყვანილი დაატარებდა...

გაიგონებენ თუ არა ჭიშკრის ხმას ვეფხო და ჯერი, ყურებდაცქვეტილები კართან დგანან და ეზოს გარეთ გაძრომას ლამობენ, მაგრამ, აი, გამოჩნდება ხელში ჯოხმომარჯვებული ჟენო და ჩვენს „ჯელტმენებსაც“ ყველაფრის ხალისი უქრებათ — ბევრჯერ უგრძნია მათ გვერდებს ურჩობით მოპოვებული „ჯილდოები“; თუმცა როცა ვეფხო მოინამლა და ორ დღეს იქით წამსვლელს უფრო ჰგავდა, მისი ჭირისუფლობაც და ვეტექიმობაც სწორედ ჟენომ იკისრა...

ჟენოს ოთახის კარი შემთხვევით თუ ღია დარჩა, ექვსივე კუ მწყობრი რიგით ოთახისაკენ მიემართება, ამას თან ერთვის ქალის კივილი და კუთას აქტიური მოქმედება — ქოქოლამიყრები ეზოს ოთხ-

დაემართათ! — ვკვირ შეშინებული და გვერდზე ვხტები...

— ნუ გეშინია, — მითხრა კარს მომდგარმა მშვიდი სახით და სათვალის ქვემოდან ამომხედა, — ესენი დასჯილები არიან, კარი შიშით ვერ გამოიღია, დაიღებენ თავს და მობობდვენ, იყვნენ ახლა მაგრე, სანამ „გვადალუპე“ არ დამთავრდება...

ჟენომ მეც საყურებლად მიმიპატიჟა, საინტერესო სერიოზო და სწრაფი ნაბიჯით ტელევიზორისკენ გაემართა...

ყველა ზემოჩამოთვლილთან ერთად ჟენოს ერთი მნიშვნელოვანი საქმეც აქვს: ცოტ-ცოტას ვაჭრობს.

— ჟენო ბებო, ჟენო ბებო, ერთი კვირი მომეცი რა!

— ჟენო არაყი გაქვს?
— ჟენო ბაბო, ყავა მინდა.
— ბაბო, მამამ, ერთი სიგარეტიო...

და ასე მთელი დღე — ჟენო, ჟენო ბაბო, ჟენო, ჟენო ბაბო... ჟენოს ყოფნის ენერჯია ყველას გამოელაპარაკოს, რაღაც მოპკითხოს, რაღაც დაავალოს და ისე გაუშვას.

პატარა, ასანთის კოლოფის ოდენა ოთახში სიბნელეა. კარის გვერდით ამოყვანილი ერთადერთი ფანჯარა ვერაფერს ცვლის, დილის მზე (ძალიანაც რომ მოინდო-

როცა მარმარილო თბება

ციური გომადის ხსოვნას

სოფლამდე რამდენიმე მეტრში, ნაძვნარში, პატარა სასაფლაოა... რა სიმბოლურია არა სოფლამდე სასაფლაო?! თითქოს გაფრთხილებაა — მარადიული არაფერი გეგონოსო. უცნაური გრძნობით დადიხარ მიწის ამ პატარა მონაკვეთზე. წარსულს მიშვილებული, შენი სხეულისა და სულის ნაწილი, უჩვეულოდ დამთბარი ქვიდან, თითქოსდა მაინც საყვედურით შემოგცქერის: როგორ ცხოვრობ უჩემოდ, როგორ აღამ-ათენებო...

შენი საფლავი გზიდანვე ჩანს, ასეთი ძვირფასი და ახლობელი... დანაშაულში მხილებილი ბავშვივით ვუახლოვდები რკინის პატარა გალავანს, ერთ დროს რომ შემოსაზღვრეს შენი კარმიდამო და მოაჯირზე დაყრდნობილი ველი დატუქსვას, ასე რომ მიგატოვებ, შენ გარეშე ცხოვრე-

...რა გამახსენდა, იცი? გასულ წელს შენთან რომ ვიყავით, აი, ფერისცვალების დღეს, უკან გამობრუნებისას წვიმა წამოვიდა, საშინელი თავსხმა, განუწულები ავედით შინ, წვიმას ისეთი საშინელი ხმაური და ელვა მოჰყვა, რომ ოთახში შეყუჟულები ძლივს ვახერხებდით ფანჯარასთან მისვლას; უცებ ჩემი ბიჭის ზღუქუნის მომესმა, მივედი, ჩავხუტე, შევიღი, რა მოგივიდა-მეთქი. წავიდეთ ახლავე სასაფლაოზე და ბებო სახლში წამოვიყვანოთ, ამ წვიმაში ცოლოა მარტო, შეეშინდებაო, — შემომტირა გულამომჯდარმა. მე ცრემლი მომერია, გულში ჩავიხუტე და ძლივს დავარწმუნე, რომ შენ ცაში იყავი, უფალთან, სადაც ასეთი ჭექა-ქუხილი არასდროს იქნება, სადაც მუდამ სინათლე და სიმშვიდეა, ისიც ვუთხარი, რომ შენნაირ კარგებს დედამინა რატომღაც დიდხანს არ ისტუმრებს-მეთქი (ეს უკანასკნელი მგონი კარგად ვერ გაიგო).

ახლა წავალ. უკვე ბნელდება... რა საოცარია არა სოფლამდე სასაფლაო... ვეცდები მალე დაგბრუნდე... ეჰ, კი ვამბობ, მალე დაგბრუნდები-მეთქი, მაგრამ ეს მალე როდის იქნება ვინ იცის?!.. შენ ჩვეულებრივად შემომხედავ, თბილი და გულიანი მხერით, მაგრამ მე მაინც მომეჩვენება, რომ მსაყვედურობ, უშენოდ ცხოვრება მაინც ადვილად რომ გამოგივიდა, ყოფის ფერხულში თავფეხიანად ჩაბმულს დრო რომ აღარ გვრჩება უფრო მნიშვნელოვანზე ფიქრისათვის, ბოლოს და ბოლოს, ასე უბრალოდ რომ ვუყურებთ სიკვდილს... შენ ხომ ამ ყველაფერზე ისე მალლა დგახარ...

...მართლა რა საოცარია არა სოფლამდე სასაფლაო...

...მარადიული არაფერიო — ასე გაფრთხილებასავითა...





პერბამესიჯებულისათვის ანუ წერილი ქმარს

მინი, გიძნელდება მესიჯის კითხვა. სათვალეს არ ხმარობ და ორმოცდაათი წლის დაძაბული მზერა თავისთავად მოგიდუნდა ახლა, ამ ესემესების საუკუნეში; არადა, ხანდახან ისე მინდა მოგწერო რამე, სულ ორი სიტყვა და გულის კედელს ატუზულ სიყვარულს, ისე როგორც ალილოზე ჩამომვლელ ბავშვს, ტკბილედ ჩაუფლო ხელში სიტყვად გამომცხვარი თავიანთი კვერები (ისე საკუთარი თავის ამბავი რომ ვიცი, რა მესიჯი დაიტევს ჩემს სიტყვათა თაფლაკვერებს)... ჩვენ, ალბათ, რომანტიზმის ხანაში უნდა გვეცხოვრა და ვრცელ-ვრცელი მალალი სტილით შესრულებული წერილები მეგზავნა შენთვის... შენ მიიღებდი გულის სიტბოზე მომზადებულ წვნიანს, პოეტური სანელებლები ოდნავ პიკანტურს რომ გახდიდა და წლები ჩვენს შორის, თოვლის ზვავივით დაგორებული, ნელ-ნელა დადებოდა და დაილეოდა... თუმცა ეს მაინც ასე მოხდა, ასე, მობილურების თხელ ეკრანზე შემალულ გრძობაამომშრალ ესემესების საუკუნეში: თეთრ ქაღალდზე პურის მარცვლებივით მობნეული გრძობა სიტყვებად ამობიზინდა და დღითიდღე იმაგრებდა ღეროს და ფოთოლს; არადა, როგორ ჩურჩულებდნენ, ვერ გაუძლებსო მათი ცოლქმრობა წლებს, დროსთან ერთად ფერნაცვალი და სისხლნაკული გრძობა ბოლოს და ბოლოს სულს დაღვეს და წარსულის რომელიმე ფურცელზე ნეკროლოგად განთავსდებოდა; ასეო, ისეო, ოცი გრძელი წელი ერთს ალთას დაანყებინებს ცქერას და მეორეს ბალთასო... შენ არ მოგიცია ჩემთვის უზრუნველი ცხოვრება, პირიქით, წლებთან ერთად განსაცდელისა და სატკივრის ზომაც იზრდებოდა და ხარისხიც, მაგრამ სიყვარულს არაფერი შეხებია — ლექსების სამყოფელის სასათბურე პირობებში იზრდებოდა და იფურჩქნებოდა. დღეს სხვაგვარად დახვეწილი და დამშვენებული მაფიქრებინებს, რომ შენ, სწორედ შენ იყავი, უფალმა რომ მოგიცია ათას შენნაირში ჩემს მონყვეტილ ნაწილად... ჩვენი ურთიერთობის დასაწყისის თითო დღე გონების თითო ნაოჭში საგულდაგულოდ მაქვს ჩაფენილი და ჩათბუნებული, რომ ყოველი ფიქრი მისი სიტბოს ნადენით იყოს დამბალი...

მე არასდროს მიძებნიხარ თეთრ ცხენზე შუა საუკუნეების რაინდით ამხედრებულ მზეჭაბუკებში; არასოდეს მოვხიზლულვარ ფუფუნებაში, როგორც ბუმბულის ნაზ საბანში გამოხვეული უზრუნველობის შემხედვარე; მყარად არასდროს ვმდგარვარ მინაზე, ფუნქციონირებადი ფრთის წვერებით ვიარე ოცდაათი წელიწადი, შენ გვერდით მომყვებოდი და საკუთარ ფრთებს მაშველებდი, ტალახი რომ არ ამდებოდა უმოქმედო ფეხის გულზე; ჩემზე ფიქრობდი მაშინ, როცა შენ ლაფი ლამის მუხლებამდე გწვდებოდა და სიარულს გიძნელებდა... ასე გამომიყვანე მშრალზე, მაგრამ ფრთები ლამის აღარ შეგვრჩა... ახლაც მინაზე რაღაც სხვაწაირად მსუბუქად ვადგამთ ნაბიჯებს... გულის კუთხესთან ნაპოვნი წვერიდან

ვირღვევთ სიყვარულს და ძაფის წვრილ ზოლებად ვაფენთ ადამიანების აღმართსა თუ დაღმართს (გზები ხომ ადამიანშიც იმდენივეა, რამდენიც მის გარეთ). რამდენ ხვია სიყვარულსაც მოვირღვევთ გულიდან, ერთი იმდენი თავად ექსოვება და ულვევი მადლით აფერადებული შვიდწვერა ძაფები სიხარულით ქარგავენ სხვათა ფერწართმეულ გულებს... მიხარია ამის თანაზიარი შენთან ერთად რომ ვარ...

აბა, ამ ყველაფრის თქმას რამდენი მესიჯი დასჭირდებოდა?! არც ლათინური შრიფტი მოუხდებოდა ქართულად დაწერილი სათქმელს; ანდა თეთრ ქაღალდზე კალმით გავლებული ხნული თუ არ დაინახე, რა მადლი აქვს ნაწერს... ხედავ, მე და შენ ისევე აქ ვრჩებით, აქ, ჩვენს შემორავულ სამყოფელში; ჭერად წითელი ღრუბლები რომ გვახურავს, იატაკად მინა რომ გვაქვს და მინაზე მწვანე ხალიჩად-სამყურეთის სიღბო... ქაღალდი და კალამი ჩვენს ვერგამესიჯებულ სათქმელს თავის ხნულში აგდებს, ზრდის, უვლის, რათა მერე და მერე ტკბილ კვერებად დამცხვარი სიტყვები, ალილოზე ჩამომვლელ ბავშვივით მომლოდინე სიყვარულს, გულიდან გაღებულ შესანიად ჩაუდოს ხელში...

დღეს იუბილარი ვარ!

აღრე გამეღვიძა. საათს რომ შევხედე, შვიდის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა. ვიფიქრე, ერთ ნახევარ საათს კიდევ ნავუძინებ-მეთქი და თავი ბალიში ჩავრგე... დღეს იუბილარი ვარ... უკვე რამდენი წელია ის უჩვეულო განცდა საკუთარ დაბადების დღეზე რომ დამეუფლებოდა ხოლმე, სადღაც გაქრა. ახლა მხოლოდ რალაცნაირ სევდას განვიცდი, ჩუმს, ჩუმს, ჩაგუბებულს... ერთხანს ლოგინში ვინრიალე, მერე ნამოვდექი, ხალათი შემოვიცვი და სააბაზანოსკენ გავემართე, შხაპის მერე ერთი ჭიქა ცხელი ყავა დავლიე და თითქოს გამოვცოცხლდი; სარკესთან ცოტა ხანს ვიტრიალე, რატომღაც შავ ტანსაცმელში გამოვწყვე, მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთე და სამსახურისკენ მიმავალ გზას ფეხით გავუყვები...

მეორე წელია, სკოლაში ვმუშაობ, ადვილი ნამდვილად არ არის, თუმცა თუ ალლო აუღე, თავს უკეთესად ვერსად იგრძნობ; გიყურებს ამდენი ბავშვი ყოველ დღე და უამრავ გაუგებარ და ბუნდოვან კითხვებზე შენგან მოელის პასუხს, ისეთს ცხადი რომაა და ისედაც ამღვრეულ გონებას მეტად რომ აღარ აურევს... მე მგონი კარგად გამოძის ფსიქოლოგ-პედაგოგის საქმე; თუმცა წუთებით გათვლილი და პედანტური სიზუსტით დაგეგმილი გაკვეთილებისა რა მოგახსენოთ. ხანდახან ისეთი თვალებით გიყურებს ბავშვი, რომ შეუძლებელია სერიებსა და მწკრივებს არ მოამორო, ასევე გრამატიკისათვის შესაფერისი აკურატულობით დამწკრივებული აზრები და საუბარი არ წამოიწყო ადამიანად ყოფნის სირთულეზე, მოჩვენებაზე, სამყაროში რომ ამოგიჩემა და გადაგმეტერა, მარტოსულობის განცდაზე, რომ გგონია ამ სიმძაფრით კაციშვილი არ განიცდის დედამინის ზურგზე... და ეს ყველაფერი ისე დაანახო, როგორც აუცილებელი ატრიბუტი კაცად ყოფნისა, მერე იმავე თვალბეჭით კითხვობ უთქმელ მადლობას და ხედები გაკვეთილის გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები — შეფასება და თვითშეფასება — როგორც ცუდდება და მეორეხარისხოვანი ხდება მეტად საშიში, მაგრამ უკვე დაძლეული ბავშვიური სასონარკვეთილების მიღმა...


სკოლაში შესულს მომიხდა უკან გამოვტრიალებულიყავი, მაგრამ რომ წარმოვიდგინე გაკვეთილების გადანაცვლებისა და დირექციის საქმის კურსში ჩაყენების ხანგრძლივი პროცედურა, თავი შევიკავე... არადა, მთანმინდაზე ავბოროილდებოდი, მამადავითის ტაძარს მოვილოცავდი, მერე საღამოს თავისუფალ თეატრში მეგობრის პრემიერას დავესწრებოდი და ასე მივულოცავდი საკუთარ თავს დაბადების დღეს... სამასწავლებლოში შესული ვერავინ შემინიშნა, ყველა ლაპარაკითა და უუ-

რნალში საქმიანობით იყო გართული. გამარჯობა ჩუმიად ვთქვი, თუმცა ვერავინ გაიგო და სანაცვლო მისალმებაც არ მიმიღია. მე-9 კლასის ჟურნალი მოვძებნე (პირველი გაკვეთილი იქ მქონდა) და ზარის ხმასთან ერთად დავტოვე ფუტკრის სკის დარად მოზუზუნე ოთახი. კიბეზე ისე მივაბიჯებდი, თითქოს ეგ არის ორმოცი კი არა ოთხმოცი წელი შემსრულებოდა დღეს, თუმცა წლები და მისი შესაბამისი მდგომარეობა ხომ ექვმიუტანლად პირობითია... ეს პირობითობა რომ ანადგურებს და მინასთან ასწორებს ე. წ. სტატისტიკას. ახლა არ გინდა ამ დამძიმებული გულით გაკვეთილი ჩააბარო?! კლასიდან ჩამიწვი არ ისმოდა, ვიფიქრე, ცხრილი ხომ არ ამერია-მეთქი; ჩანთიდან ბლოკნოტი ამოვიღე და თითი პარასკევის სვეტს გავაყოლე. არა, პირველი გაკვეთილი ნამდვილად მეცხრეში მქონდა... კარის სახელური ფრთხილად დავწიე და... სად იყო ამ პატარა კლასში ამდენი ფერი, ადენი შუქი და სინათლე, ასეთი უკიდევანო მზე, მთელი სამყარო რომ თავის წრეში მოაქცია...

— გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ! — მესმოდა აქვე ყურის ძირში და ამავდროულად სადღაც შორიდან მომავალი ხმა. ფერადი მამბალების შუქი თვალს მჭრიდა და ველარ გამეგო, ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა თუ სიზმრა; მერე არ ვიცი როდის, როგორ, საიდან გაჩნდა ჩემ წინ მარწყვებით მორთული ტორტი, რომელზეც სიმბოლურად რამდენიმე სანთელი ციმციმებდა; ამ სანთლებზე მეტად კი ბავშვების თვალები ანათებდა, თვალბები წმინდა, გულწრფელად ბედნიერი და სხვანაირად სანდო... არ მინდოდა მეტირა, ხმა რომ ამომელო, ვიცოდი, ზარგაჩენილი სიტყვები უეჭველად გამეცემა. თვალის უპყებთან მომდგარი ცრემლის უკან გაბრუნებაც არ იყო ადვილი და ვიდექი ასე — გამეშვებული, რაღაც უცნაური მათობელა ბურუსით გარემოცული; მერე როგორც იქნა, ვაჯობე ჩემს გულაჩუყებულ მეს და სამადლობელი სიტყვები როგორღაც ამოვილულულე... მერე იყო ბევრი კოცნა, ბევრი სიყვარულის გულწრფელი გაცხადება, ბევრი, ბევრი, ბევრი სიტბო, იმდენი, ჩრდილოპოლუსის ყველა პატარა თუ დიდ ყინულს წყლის მასებად რომ აქცევდა; მერე ეს წყალიც იქნებოდა ისეთი მდორე, რბილი და სასიამოვნო, რომ ადამიანებში წვეთებად შეიტანდა იმ უცნაურ სიკეთეს, ერთმანეთით ბედნიერება რომ ჰქვია...

არ ვიცი, უკანასკნელად ჩემს დაბადების დღეზე ასე კარგად როდის ვიგრძენი თავი. უკვე რამდენი წელია, მხოლოდ რალაცნაირ სევდას განვიცდი — ჩუმს, ჩუმს, ჩაგუბებულს... ახლა კი, ახლა...
...აუ, რა მაგარია — დღეს იუბილარი ვარ!





ვახტანგ ჯავახიძე

ნიუტონის ვაშლი

მიდიოდა ნეტარი და უხაროდა ამინდი, –
 რალა მანდამაინც მაშინ ჩამოვარდა კრამიტი?!

როგორც იქნა, მოიშორა ლანდი მანიაკური, –
 რალა მანდამაინც მაშინ ჩამოვარდა აგური?!

ვიდრე თანავარსკვლავედის ეტლი ანუ კარეტა
 ზოდიაქოს ეტრატს ანუ კარაბადინს გაშლიდა,
 დაისივით მიიწურა ეჭვის ხმა იდუმალი:

რალა მანდამაინც მაშინ ამოვარდა ქარი და
 რალა მანდამაინც მაშინ ჩამოვარდა ვაშლი და
 რალა მანდამაინც მაშინ ჩამოვარდა დუმილი?!

ერიდა – განხეთქილების ქალღმერთი

არა, არ მიყვარს განხეთქილების
 ვაშლებით სავსე ზამთრის ბაზარი,
 მირჩევენ მწარე გაკვეთილები,
 მოვიგერიო ასარ-ბასარი,

და მეშინია ამიერიდან, –
 თუნდაც იმედის წყარომ იდინოს, –
 არ შემომიჩნდეს ჩემი ერიდა
 და ოქროს ვაშლი არ მაყიდინოს.

თუნდაც გავექცე სხვა სავანეთა
 და სამოთხეთა შემოტევისა,
 მომდევს ოთხივე ვაშლოვანი და...
 ევასაც მგონი ვაშლი ევასა.

ოსკენციმი

დააცხრეს დაუცხრომელი
 და დადგა დაუდგრომელი –
 არა გვარი და სახელი და არა კაცი — ნომერი!

აძრახდა მეისტორიე სინდისის არითმიაზე
 და ცოდვის ანემიაზე:
 — არა ყოველი მეთაე!

მიხედე, მიაყურადე, თუ გინდა ყური მიადე
 და გადათვალე ამოდ:
 — არა ყოველი მეთაე!

ვის შიშის ქარი უვლიდა, ვინ მწყრალად იყო ნერვებთან,
 ვინ სათვალავი დაკარგა:
 — არა ყოველი მერვე და...

შემოგვასაღეს ლეგენდა აბსტრაქტულ მედუმელებზე
 და გამომწვევი რიცხვები:
 — არა ყოველი მეთაე!

მეც ჩავეძიე და პასუხს მეც თქვენთან ერთად მოველი:
 — აღარც ყოველი მეორე! —
 მაშასადამე — ყოველი!

ოლიგოს განსენება

მე ვერ ვწერ ლექსებს, მე ვწერ პოემებს
 და – მოთაფლული რითმის ჩამიჩით –
 ვეჩალიჩები ოლიგოპოემებს:
 ბარემ ლექსებიც გამიჩალიჩეთ!

* * *
 როცა ჩაქრება ვარსკვლავების მრავალწერტილი,
 სამად სამ წერტილს ერთადერთი შეცვლის წერტილი
 და უკანასკნელს დაესმება წერტილს წერტილი, –
 სალამოს იმას ვეღარ დაწერ, რასაც წერ დილით.

გაბო

გაორდა, გარდაისახა, გაგაბრიელდა გაბო და
 დიდუბე გამოტოვა და მთაწმინდისაკენ გარბოდა.

ისე აჩქარდა მემკვიდრე ზეზვასი ანუ მზიასი,
 საკუთარ აჩრდილს შეასწრო საკუთარ ეკლესიაში.

გადაივინა ცოტნე და აბიბოსი და აბო და
 სამი სამების აღმართზე არბოდა და ვერ არბოდა.

იგავს მისდია რწყილებთან და არაკს ჭიანჭველებთან,
 ლურჯა ცხენები შეკაზმა და მერანს მიაჭენებდა.

აქებს და აღარ სწყინდება თავის ტაიჭის შექება,
 არ ფიქრობს ჩამოხდომას და თავისას მიერეკება.

ნამოცდა!

ის, რაც ერთხელ, ათას ცხრაას სამოცდა
 სამში, ჭყვიშის კოპიტებთან ნამოცდა,
 ვალიარე ათას ცხრაას სამოცდა
 ოთხში რაზიკაშვილების წყაროსთან,
 მაგრამ მაინც ამჟამად და ამჟერად
 მიჭირს თავის ანუ სიტყვის დაჭერა.
 სხვებმა უკეთ დაიჭირეს გამოცდა:
 აგერ კაცი – „ეფემერა“ ნამოცდა!

უწინდესა და უნეტარეს

უნეტარესო, მამხნევებენ წირვის ციკლები,
 მომინოდებენ წიგნები და წიგნთა წიგნები:
 ყაზბეგში წავალ – თქვენთან უფრო ახლოს ვიქნები,
 ყაზბეგზე ავალ – ღმერთთან უფრო ახლოს ვიქნები!

* * *
 მინდოდა, ჩემი წლების კასეტა
 ათი წლით უკან გადამეხვია,
 გადავხვით, გადავრახე და:
 ჯერ დედაჩემი გადამეხვია.

ვეღარ შევჩერდი: უცებ კასეტა
 ოცი წლით თვითონ გადამეხვია:
 მამა, რომელმაც გამაასეთა,
 დედაჩემით გადამეხვია.

ჩემზე ამბობენ – ამაყიო,
 ჩემზე ამბობენ — ჯავახიო,
 მინდა, ფერები გავაღიო
 და ყველა კარი გავაღიო,
 ვიდრე მეტყოდნენ – დაახვიო!

მოსულა!

რას ერჩით სანყალ მწყერჩიტას:
 ზამთარია და ვერ ჩითავს.

შეეშვით ბეჩავ ბელურას:
 ყინვებია და ვერ ხურავს.

ნუ აღადავებთ ძველ ხანჯალს:
 დაიჟანგა და ვერ ქაჩავს.

განაბი გარბის ციხიდან:
 პლედო და პლეთი იყიდა.

გაგვიბლატავდა ბარიგა:
 ბანძთანაც შე-ცა-გვარიგა.

ძველს გვაბოლებენ მოტივებს:
 ახლები ვეღარ მოტივებს.

რაც ქვეყნად ატომებია,
 სუყველა ადამებია

და რასაც ევასებთან,
 სუყველა ევასებთან.

წვიმამ ჩრდილები ათესა
 და ბალახები მოსილა,
 არიფმა ვარდი დათესა,
 ია მოსულა? მოსულა!

აეე

აღარ ვამბობ: ქადა მინდა, –
 რადგან ქადა გადამინდა.
 აღარც სერენადა მინდა,
 სერენადაც გადამინდა.
 ევადან და ადამიდან,
 ვაშლიდან და ატამიდან,
 კვერცხიდან და ქათამიდან,
 მუსიე და მადამიდან, –
 ყველა „მინდას“ გაიძახის,
 მე კი ვამბობ: გადამინდა!
 ყველაფერი გადამინდა!

ხანმეტი და ჰაემეტი

ჰაემეტი და ხანმეტი –
 ხაიამი და ჰამლეტი.

ხეივანი და ხერესი,
 აივანი და ერესი.

ჰარმონია და ჰარალი,
 არმენია და არალი.

ხატთან ჰიტლერი ხარხარებს,
 ჰაინე უხმობს ხახამებს.

უყვარს ჰერა და ჰექტორი,
 ჰელადის ყველა ჰექტარი.

მე კი ხიხანის ხიხანი
 და ხარაონი ხიხანი

მესიზმრება და ხანდახან
 ხორუმს ვაგრძელებ მხარდამხარ.

ხვარამზე მიწვევს ვარამზე,
 ვიყავ ისე და ვარ ასე:

ჰავთანდილი და ჰასმათი
 მნათლავენ აიაზმათი.

ხამირანი და ხარსენა
 მიხარისხებენ არსენალს.

მაფრთხილებს ჯავახეთელი
 ჰაბესალომის ხეთერი.

და ისე მანეტარებენ,
 როგორც ვეიმედები –
 ხანმეტის ნამეტანები
 და ჰაემეტის მეტები.

* * *

მომწონდა და მიყვარდა და გულის გულში ვატარებდი, ვიდრე შევადარებდი და ვიდრე გადავადარებდი.

არც კი მახსოვს, სად ვიპოვე რადარი და მერადარე, და მე – შეუღარებელი – ავდექი და შევადარე.

მოიკოჭლებს? მოიკოჭლოს! ვაკვირდები პატარებთან: ვადარებ და ვარსებობ და ვარსებობ და ვადარებ და

არ ვირხევი სასახლეთა კარისაგან კარისაკენ, ვით ლერწამნი ქართაგან და ვითა ვერხვი ქარისაგან.

ქუთაისი. სარაჯიშვილის ქუჩა. 1939 წელი

ქამარშესნილ პატიმარს –
თოფმომარჯვებული მილიციელი მიაცილებდა.

გამოხდა სამასსამოცდახუთი დღე და ღამე:

ქამარშესნილ პატიმარს –
თოფმომარჯვებული მილიციელი მიაცილებდა.

გამოხდა ათჯერ სამასსამოცდახუთი დღე და ღამე:

ქამარშესნილ პატიმარს –
თოფმომარჯვებული მილიციელი მიაცილებდა.

გამოხდა სამოცდაათჯერ სამასსამოცდახუთი
დღე და ღამე:

ქამარშესნილ პატიმარს –
თოფმომარჯვებული მილიციელი მიაცილებს.

**ინდოელ ლამაზმანს –
იათიო გურჯის მოტივზე**

ისე მცვივა, ისე მტკივა,
ცრემლზე ცრემლი ისე მდივა,
იმნაირი გიჟმაჟი ვარ
და იმნაირ სიზმარში ვარ, –
რას მიშველის შენი შივა:
„შენი სიყვარული მშვივა“.

შესაქცევარი

გაგვინაპირებს რუსთაველის მერიდიანი,
გურამიშვილის მიგვიხმობენ მელოდიანი,
ვაჟასთან გაგვერიდებთან ერედიათი,
გალაკტიონთან — ჯერ მერი და მერე დიანა,
თავს მოგვანონებს საუკუნე წერეთლიანი
და უღვაშებში ჩაიცინებს წერეთლიანი.

ჩაი, ჩაი

ჩაი, ჩაი, ჩაი, ჩაი,
ჩაი, ჩაი, ჩაი სვა და
აიყვანა ყავის გიჟი
და ჯიბეში ჩაისვა და,
რაკი ისე შეეჩვია,
ვეღარ უთხრა ჩაის „არა“, –
სახელოვან თამადასთან
ჩაიჭრა და ჩაისვარა.

* * *

კაცს მირჩენია ზეკაცი, ბევრს მირჩენია ზებევრი,
ათას რჩეულს კი ყოველთვის მერჩია ერთი შედეგრი

და მაინც გამოვაცხადე სამარადისო ანტრაქტი,
რადგან არა მაქვს შედეგრის
არც თავი და არც ტრაქტატი.

ფიცს აქვე დავიფიცებ და სანაძლეოსაც აქ დავდებ:
არასდროს გავაჩმახებ და არასდროს გავატრაქტატივ!

ჩვენ — ბოდიში!

I
ხეებს ვესაუბრები და ტყეებს ვემეტყველები:
უკაცრავად პასუხია: აყვავილდნენ ტყემლები.

ფეხზე ვდგავარ, რას მიქვია მორჩილი და მორთხმული:
მაპატიეთ: მზე ამოდის მთებით გარშემორტყმული.

რუსთაველი მკვდარია და ვის მივართვა სარჩელი,
ჩვენ — ბოდიში: მომენატრა ტყიბული და ტყვარჩელი.

დარტყმული და შებერტყილი ამერია ბოთეში,
უკაცრავად! გვაპატიეთ! მოგვიტყვეთ! ბოდიში!

II
გიყვარს კატული და ტიბული და
გიყვარს ტრიბუნა და ტრიბუნი და
მოგდის მოკითხვები რომიდან და
შენი დედაც მოდის ტყიბულიდან.

სალალოზონი

* * *
როგორ დავწეროთ კარგი ლექსები,
გვასწავლის კაკო განერელია,
მაგრამ ყველაზე კარგი ლექსები
უკვე კარგახნის დანერელია.

* * *

არ არსებობს ვარიანტი,
არ არსებობს გარანტია,
რომ ოდესმე დაენევა კალანდაძეს კალანდია.

* * *

პოლიკარპე კაკაბაძეს რუსთველი არ ნაყვარება,
იცის ხოლმე ახირებამ ასე გამოყვარყვარება.

* * *

ლოთს აქებდა მამფორია – აფორიაქებული,
დალია და თვითონ გახდა მამფორია – ქებული.

ენის გასატახი

რომელ რომანს დაუნუნებთ
რომენ როლანს? –
თუმცა სჯობდა, ლომს ლომივით რომ ელომა.

ნიჭი და ნიჭავი

ვერ აჯობა ნიჭიერმა მინი-ნიჭებს:
დააარსეს პრემია და მიინიჭეს.

* * *

თვალს ცრემლი მისველებს,
მიჭერენ მარნუხებს...
— ექიმო, მიშველე,
ნამუსი მანუხებს.

* * *

თქვენ ამოდ დაშავალეთ:
ისეც გაჭრის დამა ვალეტს.

* * *

ისე ვიცეკვე სამბა და
ისე ვიცეკვე ლამბადა, –
თითქოს გამჩენმა მეორედ გამაჩინა და დამბადა.

წონობრამა

პირს აღებდა ინდივიდი,
გაისმოდა „ინდი-მინდი“,
ვინ კასეტა ამოიცნო,
ვინ — დისკი და ვინ — დივიდი.

ცისფარი და ცისფარი

კოცნაობდა გეი-პარა,
სულმა წინ-წინ გეიპარა.
ჩუმად ნაიქეიფა რა,
გეიპარა გეი-პარა.



სანამ ხარშვა დაიწყება, ცივი გარსი თბება და ფსკერზე მომცრო ბურთულები წარმოიქმნება. ბუშტუკები ნელ-ნელა იბერებინან, წყდება ფსკერს და თავდავინწყებით ზემოთ მიდიან. ფსკერიდან ზედაპირამდე გზას გადიან უფრო სწრაფად, ვიდრე მას ფსკერზე წარმოქმნას სჭირდება. რაც უფრო თბება გარსი, მით უფრო მატულობს ბურთულების წარმოქმნის სიხშირე. ამ დროს იწყება შიშინი. შიშინის დროს გარსში სივრცე ბლანტი ხდება და ცხელდება. ჰაერის პატარა ბურთულები, როგორც კი ზედაპირს მიაღწევენ, სკდება და იშლება სივრცეში.

ბამბარჯობა. მე ვარ დედამინა. მე ოთხი მილიარდი წლის ვარ. არ დამინყოთ ეხლა, რამდენი კილო ხარ, რა სიმაღლე, ფოტო გამოგიგზავნე ან კამერაში დამენახე. ასეთ ბანალურ საუბრებს ვერ ვიტან. რასაც საჭიროდ ჩავთვლი, ჩემ თავზე

ლევან გელაშვილი

ქილი ემბრიონის პოზაში



მხოლოდ იმას მოვყვები. ისედაც არ მიყვარს უცნობებთან საუბარი. მე ერთადერთი პლანეტა ვარ მზის სისტემაში, რომელსაც მითიური ღმერთის სახელი არ მქვია. მე დედამინა ვარ.

რიგიანად არ მახსოვს, როგორ დავიბადე, ბუნდოვნად ფილმის კადრებივით იკვეთება რაღაცები მეხსიერებაში. ან კი ვის ახსოვს თავის დაბადება გალაქტიკაში. აი, თქვენ ყველაზე ჭკვიანად რომ თვლით თავს, გახსოვთ როგორ დაიბადეთ? მერწმუნეთ ვერაფერს გაიხსენებთ, თუნდაც 50 მზის სინათლის წელიწადი ეცადოთ. მე კი წარსულის წარმოსახვაში, ცოცხალ წარმოდგენებს ვხედავ. თავდაპირველად აზელილი ტალახისმაგვარი მასა ვიყავი. წყველია ჩაძირულს ვულკანებიდან ამოსული თეთრი ორთქლი მახრჩობდა. ირგვლივ კოსმოსური მტვრის და ცეცხლის გარდა არაფერი იყო. საშინლად ცხელოდა და ბნელოდა. სიცხიანი გავეჩნდი. მოულოდნელად ჩემი გაგარვარებული მოცულობისგან უზარმაზარ სფეროდ ვიქციე. ეს იყო ნამდვილი დაბადება. ეს ისეთი ხელშესახები განცდა იყო, რომ ეხლაც მახსოვს პირველი ემოცია.

მე ვმოდრაობ მზის გარშემო. ადამიანურ ენაზე რომ ვთქვა, ეს ჩემი სამსახურია. აი, თქვენ თუ დადინართ სამსახურში, ზუსტად იმას ჰგავს. დილით მიდინართ და საღამოს ბრუნდებით შინ. მეც ყოველთვის ვუბრუნდები იმ ადგილს, საიდანაც დავიწყე მოძრაობა. სამსახური — სახლი, სამსახური — სახლი, სამსახური და ისევ სახლი. განსხვავება მხოლოდ დროშია. მზის გარშემო შემობრუნებისთვის 365 დღე მჭირდება. სხვათაშორის, საინტერესო პროცესია. ყოველ გავლაზე ახალ და ახალ რაღაცას აღმოვაჩენ ხოლმე გალაქტიკაში. სამყარო ძალიან მრავალფეროვანი და

ლამაზია. არ გჯერათ?

ბედნიერი ბავშობა მქონდა. ნელ-ნელა ვიზრდებოდი. დიდი მაიმუნი ვინმე ვიყავი. პირველად გამომაყარა. ჩემი ჰაერი წყლის ორთქლს, მეთანს, ამიაკს, აზოტს და ათას უბედურებას შეიცავდა. ორი მილიარდი წლის შემდეგ გარდატეხის ასაკს მივალნიე. გამოთავისუფლებული აირები-სგან წარმოიშვა ატმოსფერო. გაჩნდა ჟანგბადის მნიშვნელოვანი ნაწილი. გადამენმინდა სახე და ამოვისუნთქე. დავღვინდი ცოტა. ჩემი თერმომეტრი წყალია. მეხმარება ტემპერატურის შენარჩუნებაში. ამიტომ სიცხე არასდროს მიწევს ხოლმე. კაჟივით მაგარი და ხარივით ჯანმრთელი ვარ.

ჩემში ნებისმიერ ცოცხალ არსებას შეუძლია წყლის მიღება. ჩემს ერთ წყლის ბუშტუკში ათეულობით ცოცხალი ორგანიზმი ცოცხლობს. მდინარეები კლდეებს მიწერალებს აცლიან და ზღვაში ჩააქვთ. ზღვა კი მარილებით ამდიდრებს ოკეანე-

ნებაზე მიუშვა, ყველაფერს ცემენტი და ფარავს და ჩემი ადგილი აღარსად დარჩება.

ბამბარჯობა. მე ვარ ადამიანი. მე ორასი ათასი წლის ვარ. თუ გინდათ ფოტოს ინტერნეტით გამოგიგზავნით ან კამერას ჩავრთავ. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში რომ იყოთ, თქვენ ეკრანზე დამინახავთ. მე ძალიან გონიერი არსება ვარ, ბევრი რამის აღმოჩენა და გამოგონება შემიძლია. მე გამოვიგონე ბორბალი და ავაშენე პირამიდები. ცათამბვენები ავაგე და გენში ორმაგ სპირალს მივაკვლიე. მე მივაგენი მოლეკულებს და მოლეკულებში — ატომებს და ეს ატომებიც გავხლიჩე. დავაშრე ჭაობები და მდინარეებს შევუცვალე მიმართულებები. ავანყე საფრენი აპარატები და ფრენბურთი ვითამაშე მთვარეზე. ოკეანის ქვეშ გავიყვანე მეტრო და ქვის ქალაქებში ნეიროქირურგიული ინტერ-

ინტერნეტში — იმდენად, რომ სინამდვილის ადგილი აღარსად დარჩება. მე ვარ ადამიანი დედამინელი და მე ვარ ამ სამყაროს მბრძანებელი. ოფლს შუბლიდან ერთჯერადი ხელსახოცით ვინმენდ და ვცხრები.

პაუზა.

ეჰ, მიუხედავად ჩემი ამდენი ტრაბახისა, ძალიან მოსაწყენი ცხოვრება მაქვს. მთელი სიცოცხლე ერთ პატარა ჭუჭრუტანას ვუტრიალებ. ვაფართოებ, მაგრამ დიდ სარკმელს ვერ ვაკეთებ, რომ გამოვალ და მიღმურ სამყაროში გადავიხედო.

სინამდვილეში, მე, როგორც ადამიანი, ძალიან თავმდაბალი და სუსტი ვარ. ჩემი ფანტაზია განცდილის და ნანახის მცირედი ინტერპრეტაციაა. მე არ შემიძლია ჩემი ფანტაზიით ახალი რამე წარმოვიდგინო, რაც არ მინახავს. მთელი სიცოცხლე მე ერთი და იგივე წარმოდგენებში ვტრიალებ. ყველაფერი, რასაც ვქმნი, სიზმრის ლოგიკაა, ის სამყაროა, რასაც ვხედავ. ისიც არ ვიცი, ნითელი ნამდვილად ნითელი არის თუ არა. უბრალოდ, ჩვენ ადამიანები შევთანხმდით, რომ ამ ფერს დედამინაზე დავუძახოთ ნითელი. სამყარო ისეთია, როგორსაც მე ვხედავ. სინამდვილეში ნებისმიერი პროცესი ბუნებაში საიდუმლოებით მოცულია ჩემთვის. მაგრამ მე არ ვეპუები ამას. მე მაქვს ამ ყველაფრის ახსნა, რომელშიც არ ვარ დარწმუნებული, თუმცა ვერავინ შემომედავება.

ბამბარჯობა. მე ვარ ღმერთი. ყოველთა არსთა მმართველი. უზენაესი სახელი სიყვარულის და რწმენის განსახიერება. შემოქმედი სამყაროსი და მაორგანიზებელი ძალა მისი. მე ვარ უნივერსალური მატრიცა, იდეალური ფორმულა, რაც კოსმოლოგიურ კანონზომიერებას აწესრიგებს. მე მივეცი პირველი იმპულსი პროცესებს და შევქმენი ყველა ცოცხალი არსება ცისა ქვეშ და ქვეყანასა ზედა. მე შევქმენი მატერია. მე ვარ ერთიანი, მაგრამ მრავალრიცხოვანი ჩემი ნაწილების საშუალებით ნებისმიერი ცოცხალი არსება ამსახავს მე. ფიზიკის კანონებში არ ვერევი, ნებისმიერ დროს შემიძლია ყველა მიღებული კანონი დავარღვიო და აღმოჩნდეს, რომ ის კანონი ყოფილა მცდარი. სხვა რა გითხრათ, აბა? სამყაროს შექმნა ძალიან საინტერესო პროცესი იყო. ეს პროცესი მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკით საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

შიშინი გაბმულია. გატყორცნილი ნაწილაკების დიფუზიური სიჩქარე პირდაპირ პროპორციულია შიშინთან. როცა იწყება შიშინი, პროცესი შემდეგ ეტაპზე გადადის. შიშინი გესმის უწყვეტად, ბურთულაკები აგრძელებენ ფრენას ზედაპირისკენ. განიცდი დუღილს. როდესაც დუღილის ზღვრული ტემპერატურა კრიტიკულ წერტილს აღწევს, იწყება აორთქლება. როდესაც აორთქლება იწყება, იღვიძებ.



ებს, რაც აუცილებელია კლიმატური ნონასწორობისთვის. ოკეანის წყალმცენარეები და მიკროორგანიზმები გამოიმუშავებენ გაზს, რაც სუნთქვისთვის არის აუცილებელი. ჭაობები წყალს ფილტრავენ და გარემოს დაბინძურებისგან იცავენ. ნვიმების დროს ჭაობის წყალმცენარეები წყალს ისრუტავენ, გვალვების დროს კი წყალს გამოყოფენ ბალანსი რომ არ დაირღვეს. ხეები სუნთქავენ, რის მეშვეობითაც ატმოსფეროში გამოყოფენ, წყალს სინესტის სახით, რაც აუცილებელია სხვა მცენარეებისთვის. სინესტე ქმნის ნისლს, რაც ძლიერ ნვიმებს ამსუბუქებს ხოლმე. ხის ფოთლები მზის ენერჯით იკვებებიან, მინერალებში იხსნებიან და ნიადაგს აყალიბებენ, სადაც უამრავი ცოცხალი ორგანიზმი ცოცხლობს, ისინი ქმნიან ნეშომპალას, რაც კონტინენტებისთვის არის აუცილებელი. წყლის ცირკულაცია მარადიულია. ჩემი ბირთვი დამდნარი რკინაა, რომელიც დრო და დრო ზედაპირზე ლავის სახით ამოდის ხოლმე. ლავა სიცხელით მზის ტემპერატურზე მაღალია, რითიც ის მზის მანვე გამოსხივებისგან ყველა ცოცხალ არსებას იცავს.

ჩემს ბუნებაში ცალკე არაფერი არსებობს. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთ მთლიან წონასწორობას ქმნის. მე დედამინა ვარ, რომელსაც უკვე ორი ათასწლეულია ადამიანები მჭირს. ჩემი მიზანია მცენარეულობით დაეფარო ყველაფერი. მუდამ იმისკენ მივისწრაფვი, დედამინის მთლიანი ზედაპირი მიწვანე იყოს, ამისათვის ათასობით მცენარის ჯიში არსებობს ჩემში. ეს ნელი, მაგრამ შეუქცევადი პროცესია. ასფალტით დაფარულ ზედაპირსაც სუსტი ბალახის ერთი ქორფა ყლორტით ვხეტიაე ხოლმე. აბა, რა ექნა? ადამიანი რომ თავის

ფეისები დავდგი. მე შემიძლია ჰოლოგრაფულ მონიტორებზე დავაკვირდე ყველა ცოცხალ არსებას დედამინაზე და ბუნებრივი სირთულეები მინის ჭიის დონეზე დავიყვანო. ტელეპათიურ მართვაზე მაქვს ჩაის ადუღება და მასაჟიორი — ჯაკუზი. მე აღმოვაჩინე ნავთობ-პროდუქტები და შევქმენი სანავი ძრავისთვის. მე ვთხრი დედამინას, რითიც შემიძლია და სულ უფრო და უფრო ახალ რაღაცებს ვიგონებ ამასთან დაკავშირებით. მე აღმოვაჩინე ოქრო და გამოვიგონე ჩანგალი. მე დავაქორწინე ჩანგლები, რათა ჭამის დროსაც ჩანგლის თითებზე ნამოცმული ოქროს ბეჭდები მეგრძნო პირში. მე მოვექოვე ტვინის ნაოჭები უფრო მრავალმნიშვნელოვანი ძაფებით ვიდრე აქამდე არსებობდა. მე შევქმენი პატარა კაცუნები, რომლებიც ცულმომარჯვებულები თმის ძირებში ჩავასახლე და მათ თმის ღერები, როგორც ასწლოვანი მუხის ხეები, ისე გაჩეხეს. მე ავაშენე სტადიონები კოსმოსში და ფეხბურთი ვითამაშე ღრუბლებში. ჰოდა, აი, ეხლა შუბლზე ოფლ მომდგარი გზებით და ალტინებით გელაპარაკებით. მე გამოვიგონე მანქანა და მობილური ტელეფონი. მე შემიძლია სინათლის სისწრაფით გავავრცელო ინფორმაცია. მე მაქვს იარაღი იმდენად მრავალფეროვანი, რომ მისი სახელები ატომური ბომბით იწყება და უსასრულოდ გრძელდება. მე შემიძლია დავამარცხო დრო. ბუნება თავის გამოვლინებით გამუდმებით მთრგუნავს, ამიტომ მე ვცდილობ ტვინში უწყვეტი ინფორმაციის მიღებით ვაჩქარო დრო, რომ ვედარ ვიგრძნო სამყარო. მე უნდა მოვწყდე სუნთან ცხოვრებას. რადგან მე არ შემიძლია ბოლომდე ამოვიცნო სამყარო, მე შემიძლია გავაყალბო რეალობა. გავაყალბო სარეკლამო ბანერებში, ტელევიზორში და

პაატა შამუგია

რიტას სათამაშო ცხენი

დეტექტიური პოემა სამი გვამით, ორი ავტორით და პირქუში გამომძიებლით (ფრაგმენტები)

მე ურწმუნო ვარ,
თუმცა სხვა დადებითი თვისებებიც მაქვს,
მაგალითად, ვფლობ სამ ენას
და მუცლურ ცეკვას ვასრულებ ორსული ქალების
პატივსაცემად, –
ამბობს რიტა და პირველად იწერს.

და აქვე, ავტორს, წესით, დრო უნდა ეხელთებინა
და აეხსნა, რომ
ეს ლექსი ჩაფიქრებული იყო, როგორც მხილება,
მაგრამ ვინაიდან ყველა ლექსი ისედაც მხილებაა,
მისი მხილებად ჩაფიქრება გადაიდო
და ამ ეტაპზე ეს არის ლექსი რიტას შესახებ,
რომელიც არის ჩემი მეზობელი.
ავტორი, თავის მხრივ, რიტას შეყვარებულია,
თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება,
რადგან რიტაც და ჩვენც ვეძებთ სიტუაციების ჯამს,
შესაყვრება ყულფს,
რომელიც ტრაგედიის ვინრო კისერზე უნდა დაიფსკენას.

ცხადია, რიტას ესმოდა, რომ
პირველად იყო ჯამი
მერე იყო შესაყვრები,
რომელთა გადანაცვლებით,
ცნობილი მოსაზრების კვალდაკვალ,
არ იცვლება ის, რაც იყო პირველად – ანუ ჯამი.

ხოლო როდესაც არ იცვლება ის, რაც პირველად იყო –
ანუ ჯამი, ვიღებთ შესაყვრება დაწურულ მნიშვნელობას,
რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება შევაფასოთ
როგორც ობიექტური ქეშმარიტება.

რიტას, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება
ბანალური აკრიბია,
რომ ვინც ეძებს ობიექტურ ქეშმარიტებას,
ხელში შერჩება სუბიექტური სისულელე.
ვინც მწვერვალის მოხელთებას ცდილობს,
უმალ უფსკრულს მოინადირებს,
ჯამი შედეგად და არა მიზეზი,
და მიუხედავად ამ ცოდნისა,
მისი ცნობისმოყვარეობა
ბინარულ ოპოზიციითა მიჯნაზეა გადებული,
და ისრუტავს ყველა სახის ინფორმაციას,
რომლებიც მის გარშემო დაფარვატებენ
და უცდიან საკუთარ დროს – ექსკლუზიურს
და მოხელთებულს.
დრო კი, რომელიც, ჩინელ ბრძენთა აზრით,
დასაზღვრულია,
რიტას თავზესაყრელად ჰქონდა

და უნდა გამოვტყდეთ, არც ავტორი უჩიოდა
მის სიმცირეს,
ვინაიდან ჟურნალ „ლიბერალიდან“
უკვე წამოსული იყო
და სხვა სამსახურიც არა ჩანდა.
ასე რომ, საკმარისია, საკმარისზე მეტიცაა
დრო.

საკმარისი დრო ჰქონდათ ხეებს,
ყოფილიყვნენ უფრო მწვანეები,
სოლიდურები,
ყოფილიყვნენ უფრო მაღლები
და მათ თავზე ეფრინათ ჩიტებს.

ჩიტებსაც ჰქონდათ საკმარისი დრო,
ეფრინათ უფრო მაღალ ხეებზე,
უფრო მწვანეებზე,
სოლიდურებზე.

ჩვენ ყველას გვქონდა საკმარისი დრო,
მაგრამ არ გვქონდა საკმარისი შესაფერისი,
როგორც იტყვიან, მომენტები,
როდესაც კმაყოფილება და ადამიანი
ერთმანეთს კვეთენ.

და მღერის რიტა სიცოცხლისა და სიყვარულის სიმღერას:
მე თვალს ვრგავ ფანჯრის რაფაზე
წყალს ვუსხამ და ველი, კვირტები
როდის გამოვლენ სამალავიდან
და იზრდება ჩემი გუგები
და ფართოვდება ხან შიშისგან, ხანაც პირიქით,
უსაფრთხოდ ყოფნის შიშისაგან,

და როდესაც მოვა ჟამი,
მე ათასი თვალი მექნება,
ნაყოფიერი ათასი თვალი,
მსხმოიარე ათასი თვალი
და ვიქნები ათჯერ არგუსი
და 500-ჯერ დაგინახავ,
როცა გაივლი ჩემი სახლის წინ
და ჩემი ათასივე ჭროლა თვალი
ბილნი ჭორივით დაგედევნება.

როგორც კი დაასრულა მონოლოგი
სიცოცხლისა და სიყვარულის შესახებ,
რიტა ტყეში შევიდა, რომელიც ამ შემთხვევაში,
მართლაც ტყე იყო
და არა სიმბოლო ან მეტაფორა,

თუმცა კი ჯობდა მეტაფორა ყოფილიყო,
რადგან ავიცილებდით იმ საზიზღარ სუნს,
რომელიც მასში განფენილიყო
(როგორც ცნობილია, მეტაფორები არ ყარან,
ისევე, როგორც ხელნაწერები არ ინვიან,
ხოლო წმინდანებს ჩრდილი არა აქვთ)
და ეს სუნი კი გვამს ასდიოდა,
რომელსაც რიტა გამოედო,
გვერდზე იდო დამსხვრეული საათი,
საათი კი, ტყისგან განსხვავებით,
ნამდვილად მეტაფორა იყო
და საგანთა წარმავლობის სიმბოლოდქცეულს,
ისრები უმწეოდ გადმოეკარკლა.
ჰო, რა ტრაგიკულია! – ნაიჩურჩულა რიტამ
ევრიბიდეხს პერსონაჟივით, –
ხომ შეიძლება, რომ
საგნებმაც დახვეწონ რეპრეზენტაციის ფორმები
და უფრო მოქნილი სახით წარმოგვიდგენ?
რა გახდა ერთი წესიერი ტრაგედია,
ერთი-ორი სოლიდური მკვდრით
და ამაღლებული სასპენსით?

ნოყიერი ნეშომპალა, – გაიფიქრა რიტამ,
თუმცა სკოლაში განსაკუთრებით
ბოტანიკა ეზიზღებოდა
და ამაზე მოგვიანებით ლექსიც კი დაწერა
(პრაქტიკულად, მთელი ეპოსი):

გვქონდა ნიჭი ცოტანიკა,
არ გვიყვარდა ბოტანიკა,
ჩვენი მასნი ხშირად გვცემდა,
იმის დედაც მოგტყვან იქა,
ქვე რად გვინდა ბოტანიკა,
ლობიო გვაქვს ქოთანკა,
ქვე გვყავს კაი ოჯახი და
შვილუკა და ბოსტანი, ქა.

აი, ასე იმართლებდა თავს,
თუმცა კი გულის სიღრმეში ჰუმანური იყო
და სახარებაც წაეკითხა.

და რიტა ამხედრდა თავის სათამაშო ცხენზე,
რომელიც არაა ამ პოემის პერსონაჟი
და ავტორის დაუდევრობის გამო („ის მთვრალი იყო,
როგორც ყოველთვის“),
შემოიპარა ჰანს მაგნუს ენცესბერგერის
გამოუქვეყნებელი პოემიდან
და ძუნძულით გავიდა ტყიდან,
რათა ემცნო ადამიანებისთვის
საზარელი მკვდრის შესახებ.

ქალაქისკენ მიმავალმა ნახა ტულეტი,
ერთს ქოლგა ეხატა, მეორეს ჩიბუხი,
გააბოლა და შევიდა ქოლგაიანში.
მას ნაკითხული ჰქონდა ვასილე ერნუს
„დაბადებულნი საბჭოთა კავშირში“
და ამიტომაც გაახსენდა ტულეტების კლასიფიკაცია,
რომელიც, ცოტა არ იყოს, დაუსრულებელი ერენა,
ამიტომაც თავისიც მიამატა.
ტულეტი ყველაზე მშობლიური ადგილია,
ტულეტი შეიძლება იყოს დიდი ან პატარა,
მაგრამ ტულეტი უნდა იყოს ტულეტი.
იმის მიხედვით, თუ როგორი ტულეტი აქვს,
მე ვხვდები ვის რა აწუხებს, რა შიშები და სიზარულები
ზზარავს მის სიცარიელეს,
ვისაც ვრცელი ტულეტი აქვს,
მას გონება ხშირად ეფანტება
და ზოგჯერ ახლობლების სახელსაც ვერ იხსენებს.
საერთო ტულეტის მქონე ადამიანებს
აწუხებთ დენის შიში, პარანოია
და ისინი ძალიან მალე გაგიჟდებიან
თუ ეს უკვე არ მოახერხეს
ვინრო ტულეტის მქონე ადამიანები

კარგ ლექსებს წერენ,
არიან ადამიანები, რომელთაც ტულეტი
საერთოდ არ აქვთ
და მოთხოვნილებებს სადარბაზოებში იკმაყოფილებენ,
გიორგი კეკელიძეს ტულეტში საკუთარი
წარბშეკრული ფოტო უკივია
(რაც გამორიცხავს შემსვლელის
ონანიზმის მცირედ სურვილსაც),
თუმცა მაგალითად ლაო ძის დროს, მგონი,
საერთოდ არ იყო ტულეტი
და შესაბამისად, მასზე მსჯელობა არ იქნება ღირებული,
შეიძლება ამ მიზეზითაც: ლაო ძის თანაქალაქელმა
იუველიერებმა
სულ ახლახანს გააკეთეს ოქროს ტულეტი,
მთლიანად ოქროში ჩასმული უნიტაზი,
თითქოსდა, წარსულის კომპენსაციისთვის,
მოგეხსენებათ, წარსულს შურისძიება შეუძლია.

ამ პოემის ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ იდიოტია
(ვიცნობ და სიტყვაზე მენდეთ),
სხვანაირ ლექსებსაც წერს – გართიმულსაც,
გაურითმავსაც
და რაც უნდა გასაკვირი იყოს, თაყვანისმცემლებიც ჰყავს,
მაგრამ ხალხს უყვარს ამბავი
და დაე, ესეც იყოს ამბავი,
ხოლო ლექსები მოიცდიან.



ტური სახეც საუკეთესოა მთელ მის ღირ-
იკაში, ზადალი ძნელად ეძებება; აქ ჩანს
შორეულ საგანთა მყისიერი დაახლოების,
ერთ ფოკუსში მოქცევის უმაღლესი ხე-
ლოვნება:

გინახავთ თქვენ ფერი
დაბინდულ ქლიავის? –
ეს ჩემი სამშობლოს მთებია!

წლების მერე ცნობილმა პოლონელმა
პროზაიკოსმა და პოეტმა იაროსლავ
ივაკევიჩმა (ძალზე საეჭვოა, რომ მას
გალაკტიონ ტაბიძის ეს ლექსი ნაკითხუ-
ლი ჰქონოდა) თავისებურად გაიმეორა
„დაბრუნების“ წინამდებარე ხატი, როცა
იტალიური შთაბეჭდილებების გასაცოცხ-
ლებლად ტოსკანურ პეიზაჟს ქმნიდა.
ლექსის პოლონელი ოსტატის ამ მონათე-
სავე ხილვას, მისი წარმოსახვის შეუბოჭავ
გაქანებას რომ მოწმობს, წუნი არაფრით
არ დაედება:

მთებს შორის, მწიფე ქლიავებს
რომ გვაგონებენ,
ანგელოსები ვერცხლისფერ
ზეთისხილებს არხევენ.

„დაბინდული ქლიავი“ ამკარად უფრო
ფერწერული და მარჯვედ მიგნებულა,
ვიდრე „მწიფე ქლიავები“, მაგრამ უთუოდ
ქების ღირსია ისიც, ვინც ამ უნატიფეს
სახეს დამოუკიდებლად მიაგნო, განავრ-
ცო და განსხვავებული მომხიბლობა შესძ-
ინა (იდელიურ სამყაროში გადაყვარათ
იმის წარმოდგენას, როგორ ატოკებენ მი-
ნაზე დაშვებული ანგელოზები ვერცხლ-
ისფერ ზეთისხილთა რტოებს.

ერთ ასეთსავე იშვიათ დამთხვევაზეც
უნდა ვთქვა ცოტა რამ. ძალზე ნიჭიერ, ან
გარდაცვლილ პოეტს ელენა შვარცს 1991
წლის ზამთარში, ალბანეთის საზღვართან,



ელენა შვარცი



ალექსანდრე ყაზბეგი

თოვლიანი მთის ძირში, უნახავს მართლ-
მადიდებლური მონასტერი, რომლის ეზო-
ში სუსხისგან ჭკნობაშეპარული, თავჩაკ-
იდული ვარდებისთვის მოუკრავს თვალი.
იქვე მდუმარე, შავსამოსიანი ბერი მდგა-
რა (თოვლიანი მთის ფონზე, შავად მოსილი
ბერი ალბათ მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა).
ამ სურათს პოეტი აუღელვებია და თავისი
ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი დაუნერია –
„ალბანეთის საზღვართან მდებარე მონ-
ასტერში“. მისმა ერთმა სტრიქონმა
გალაკტიონ ტაბიძის შედევრის უბრწყინ-
ვალესი სახე-შედარება („როგორც ნანვი-
მარ სილაში ვარდი“) გამახსენა. ლექსის
ავტორი უფალს მიმართავს:

Ái m̄ i àè, ÿ àáúú èp àèp
Ái èüü à, ÷áì ÿ i í àó –
Ái ðó ÿò ó á ñí àáá,
Èðí àü ñáí p í à áááá
Òáýý à í àèçáú àí i ú ò i ñèá.

ცხადია, გალაკტიონისეული „ნანვი-
მარ სილაში ვარდი“ ბევრად მოხდენილი
და ეფექტურია, ვიდრე „ეს ვარდი სილა-
ში“, მაგრამ საგულისხმოა თვით სახეთა
სიახლოვე, ნათესაობა. აღნიშნული ხატი
მყარად ზის ელენა შვარცის ცნობიერე-
ბაში, ვინაიდან ფინალისკენ რამდენადმე
შეცვლილად, იმავე, მისთვის ძალზე საყ-
ვარელ და მიმზიდველ სურათს იმეორებს,
ოღონდ აქ ვარდს უკვე ზუსტად მისადაგე-
ბული ეპითეტი – „დართვილული“ –
ერთვის:

Ái m̄ i àè, ÿ àáúú èp àèp
Ñèèüü àá, ÷áì ÿ òí ÷á

Ýò ó èóí ó èç-çá ã ð,
×áè èò èp àáè, çáèí àááááá ðp
ðí çó á i ñèá...

სათუთად ნაფერებმა „დართვილულ-
მავარდმა“, თავის მხრივ, შესაძლოა რუს-
თაველის ცნობილი მეტაფორა გაგვახ-
სენოს: „საბრალთა, ოდეს ვარდი
დაერთვილოს, და-ცა-ეზროს“. თითქოს
საგანგებოდ, ერთი სტროფის შემდგომ,
რუსთაველი თითქმის ისეთსავე სურათს
ხატავს, როგორც მართლმადიდებ-
ლური მონასტრის ეზოში, ახალ გა-
თოვებულზე, რვა საუკუნის მერე,
გრძობამორეულ პოეტ ქალს უნახავს:
„ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი
დათრთვილა, დანასა...“

ამგვარ მსგავსებათა გამოდევნება და
მოჩხრეკა შორს ნაგვიყვანს და, ამდენად,
უმჯობესია, მოკლედ მოვჭრათ.


ახლა, მცირე ხნით, კვლავ შესანიშნავი
რუსი პოეტი ქალის, ელენა შვარცის მე-
გობრისა და თავყვანისმცემლის ღრმა,
მდიდარ, უფლის მადლით გასხივოსნებ-
ულ სულიერ სამყაროს უნდა დავუ-
ბრუნდე. უამრავ საინტერესო, დამა-
ფიქრებელ პასაჟს მოიცავს ოლგა სედა-
კოვას ლექსები. სხვა ვერლიბრში („შეხ-
ვედრა“), სადაც იგი საშინელ ქარბუქში
ერთ მეგობარს ყინულოვანი ოკეანის
მახლობელი დასახლებისაკენ წასვლას
სთავაზობს (იქ მყუდრო ქობი ეგულება
და ფანჯრიდან ოკეანე მოჩანს), ნახ-
სენებია ალბათ იმ დასაკარგავში მცხ-
ოვრები რომელიც, სიკეთის გან-
სახიერებად წარმოდგენილი ქართველი,
სახელად გივი, რომლის ვინაობას თვით
ავტორი თუ იტყოდა. პოეტი წინასწარ
ტკბება, რომ ამ ადამიანს შეხვდება. მო-
მაქვს ლექსის ბოლო სამი სტრიქონი:

Á ò çáèí i áóááá Æèáè,
Áááú ñí àááè ÷áè àáèè
Çáì èý i á àè àáèá.

რა დასამალია და გასამოწმებს, ამის
დამწერს დედამინის უკიდურეს ნერტილ-
ში, იმიერპოლარეთში, იმედად, ტომით
ქართველი, ასეთი ღვთისნიერი პირო-
ვნება რომ ეგულებოდა.

ოლგა სედაკოვა გამორჩეული სიყ-
ვარულითა და კრძალვით ეპყრობა ჩვენს
სახელოვან თანამემამულეს, მეოცე
საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსსა და
პოლიტოლოგს მერაბ მამარდაშვილს.
გარდა იმისა, რომ არაერთგან, დიდ
მოაზროვნებებთან ერთად ახსენებს,
ცალკე, ვეებერთელა გამოკვლევას
უძღვნის („ესთეტიზმის ჰეროიკა“) მარ-
სელ პრუსტზე მის განთქმულ ოცდაცა-

მეტ ლექციას. მიაჩნია იგი გენიალური
ფრანგი მწერლის ტოლფარდ მოვლენად და
აღნიშნავს, რომ ასეთი მრავლისმომცველ
დონეზე რუსებს, განჭვრეტილი და შესწავ-
ლილი არა ჰყავთ თვით „ომისა და მშვი-
დობის“ ავტორი; იქვე დასძენს, ტოლსტოი
თავის მამარდაშვილს ელოდებოდა. ამაზე
მეტი აღიარება საკუთარ სამშობლოში ჯერ
კიდევ სათანადოდ დაუფასებელი, ხოლო
მანამდე, ოთხმოცდაათიან წლებში, ჩვენდა
სამარცხვინოდ, ტვინდასეტყვილ კერპთაყ-
ვანისმცემელთა მიერ დევნილი უნი-
კალური მოღვაწისა ძნელი წარმოსადგენია.



გალაკტიონ ტაბიძე

მარტო ჩემ სურვილს არ გამოვთქვამ თუ ვი-
ტყვი, რომ ეს უმნიშვნელოვანესი, ფართო
დიაპაზონის ნერილი ქართულ ენაზე დროუ-
ლად უნდა ითავგმოს.

უთქმელადაც ცხადია – ამ ჭრელ,
აბორგებულ წუთისოფელს და თბილისის
მოგუგუნე, უსწორმასწორო, ქარისგან
დამტყვრიანებულ ქუჩებს ბრმა ბედისწერ-
ის სიმუხთლით ნაადრევად განმორებული
შოთა ჩანტლაძე რომ არა (აზარტგამოუ-
ლეველი, მოუქანცავი, გაუნელებელი მა-
მაკაცური ჟინით ატაცებული, იგი ტანადი,
ფერხორციანი ქალების მიმართ გულ-
გრილი არასოდეს ყოფილა), ეს ჩახლართუ-
ლი „მიხვეულ-მოხვეული“, ერთმანეთთან
არც ისე დამაჯერებლად გადაბმული რამ-
დენიმე ფურცელი ნამდვილად არ დაინ-
ერებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერიში

ზაურ გერგედავა

ურმის ბორბალი

ოფიციალურ წყაროებს ვენდე: დაბადებულხარ
მაშინ, როდესაც ურმის ბორბალი გამოიგონეს. რა დრო იყო!
ხარი სახრეს ვერ დაგტყუებდა, და ხანჯრებივით ალესილ რქებზე
შესკუპულ მტრედებს — ფრთებზე ღულუნა ბარტყები ესხათ.
მხოლოდ სამი ხმა დაგკლებია, შენი ხილვებით რომ დამთვრალიყო
გვირგვინი მეფის... და დედოფალსაც
ვერ დააჭკნობდა შორს დარხეული ექო ჭორების.

უცნაურობა — ფენიქსის კვერცხი იმარხავს ალბათ
ახირებულთა საბედისწერო მიქცევ-მოქცევებს:
დედის საშოდან — უსასრულო გარინდებამდე.

ნეტავ განახა, როგორ იზრდება შენი ხსოვნის დღის მეინსტრიმი:
ჯერ ფეხშეუდგმელ სანმინდარებში.

რეკს ყურებში და ირწევა ჭალი.
ინთება — ქრება — ინთება — ქრება, განჯადოებულ შუქნიშანივით.
არადა, ურო ჩამცხეს გარინდულს ყიფლიბანდში.
არიალებულ ბუნგალოს თავანს ავარდა ბული.
ძალს ჩასაფრებულ კატის მრცხენია,
რომ ვერ გავსამდი უტიფარ სარკის ჯიბრზე და მაინც:
გონს მოვდივარ და აცახცახებულ ხელებს ვილოკავ
მშრალ, ხაოიან ენის სავსავით.
თავს არ ვაცოდებ ამ კაქტუსსაც კი
— უკანასკნელად რომ გამოილო ნაყოფი — თრობის მომგვრელი სუნით.
ვესუტუნებ, ვმფოთავ, გადათეთრება მოვასწრო იქნებ
— ბატიფეურა შავად ნაჟურის,
იქნებ გავენდო, ჩავხედო ღრმად, ღრმად გადემონებულ ორეულს სულში...
და ჩავეკითხო: მისმინე, ძმაო!
ამ ნაწყალობე სტრიქონებს შორის, და იქით, მიღმა რა ხდება ნეტავ?
ფესვს გაიდგამს და ხორცს გამოისხამს თუ უნვდომელში
უჩინარდება შემამფოთებელ მზარდი ზმუკუნით, და ნაკვალევზე მიმონთხეული

სისხლის ნაპერწკლებს ნკმუტუნ-კრუტუნით ასვლიპავს ხროვა
გამძვინვარებულ ხვადთა და ძუქნის?..
იქნებ ჩავხედო, იქნებ ჩავუთქვა უიღუმალესს ამოუთქმელი,
გარდაუვალი აღსასრულის წინ.
და ხმა გაისმა:
არის აქ ვინმე, ვინც ჩვენ დაგვიხსნის, ვინც კვლავ მოახდენს ურყევ სასწაულს?!

ნკაპ! აიპრისა სიჩუმემ კუდი. აუბრჭყვიალდა წამწამი უკუნს.
ვზანზარებ. ვინვი. მხრებზე მაჯდება ორი ღაბუა მუქლურჯი ჩიტი.
გაბმულ ჟივილში შემოეპეპლათ ლამის ერთურთი.

არის აქ ვინმე?! არის აქ ვინმე?! — ვაბოდებ, ვყვირი.
ღუმს მღუმარება. თავს ისჯის ჩქამიც კი, უჩინარს შეთქმული ამთქნარებს უჟმური.

არც თოლიები, არც მეზადური, არც გამორიყულის ჯიბეებს ასხივებს
ფსკერს ანანაპნი საგანძური და არც წყალზე მიმავალს ირეკლავს მიმწუხრი.
მხოლოდღა ჟღალ თმებში ირიბად ჩანწული ნალამე პეპლებით
კეკლუცობს რიჟრაჟი — უიღბლო ფასკუნჯი.

უიღლოვის გეომეტრია

დიახ, არსებობს უიღბლობის გეომეტრია.
და ოქროს კვეთი —
მოლალატე ქალთა მშვენიერ აღნაგობებში, მაგრამ შელოცვით,
მხოლოდ შელოცვით და მწუხარებ მზერით უშვილო ქალი მუცლად იღებს და,
ალიონს ძუძუ აუტირდება?
არა, ძვირფასო! მე მირჩევნია ვიყო მოშხამულ ისრის სამიზნე,
და საგიჟეთში ვმწყემსო ხილვები — სრულიად სალი სულიერ ძმების,
ვინც მე ცოფიან ძაღლებს ხროვას აღარ მომიქსევს, და არც ჭორებსაც
დამირხვეს მჭვირვალ ზურგს უკან — უცებ:
— საკუთარ თავის ჩამოსახრჩობი თოკის საყიდლად ნასესხებ ფულით
აგრილალო სახელგანთქმული ლოთების მეფე, და მოშიშვლებულ
დედოფალს თმაზე მოდებიაო უეცრად ცეცხლი.

— შენ ფიქრობ, ისეთი დღე დადგება, ადამიანი აღარ იქნება საჭირო... შენ ცუდად ფიქრობ, გირვანქ!

— მე არ ვფიქრობ, სტრიმ, ასე ხდება.

— არ შეგიძლიათ, ისეთი რაღაცეები გამოიგონოთ, ასე რომ არ... „მოხდეს“?

— ანუ, სტრიმ?!

— ადრე რომ იგონებდნენ, ფიქრობდნენ, როგორ დახმარებოდა მანქანა ადამიანს, ახლა ფიქრობენ, როგორ შეცვალონ...

— სტრიმ, რა დაგემართა?... სისულელეა ამაზე დავა!

— ასეა!

— ...

— ამოხვალ?

— ამოვალ, თუ გაიღიმი... და სტაფილოს განურავ... და...

— გაგიღიმი, გავწურავ.

— და სამყაროს გარდაუვალ დასასრულშიც აღარ დამადანაშაულებ?

— გაითვალისწინე — გავწურავ ჩემი წვესანურის „დახმარებით“!

— კარგი, იყოს „დახმარებით“... შენთან გრილა, სტრიმ... დაა... ეს საიდან მოათრიე, კერვას სწავლობ?... თუ?... რა არის?

— არ „მოვითრიე“... სხვენში იდო, გავწმინდე და ჩამოვიტანე... ნამდვილი რემინგტონია!

— ბატონოოო?! სტრიმ, რა არის?

— გამომართვი.

— ...კარგი წვესანა... ვაშლი დაამატე, სტრიმ?

— დიას, დიას... გემრიელია!.. მეც ასე მომწონს... ანუ, გირვანქ, შენ არ იცი, რა არის რემინგტონი?

— ცეცხლსასროლი იარაღია?... არა, სტრიმ?... ბრაზობ?...

— ააა!.. ფრთხილად, წვენი გადამესხააა!.. ხელი გამიშვი!.. შემეშვიი!

— სად ნახვედი?

— შეხედე, ეს რემინგტონი ნომერი ერთია, პირველი საბეჭდი მანქანა, ნამდვილი შოულზისიული რემინგტონი... მაინც არა?

— არა, სტრიმ, საიდან მე ეგეთი ნოვაციები?

— ცინიკოსი!

— ისე, სტრიმ, სიმართლე თუ გინდა, საკერავ მანქანას უფრო გავს!

— ჰო, აბა, რა!.. ჩვენს ბნელ ქალაქშიც ასე ეგონათ მაშინ, ჩემი დიდი ბუბის დიდმა ბუბიამ რომ ჩამოიტანა!

— აჰა, ასე ეგონა ანუ ჩემი ბნელი დიდი ბუბის ბნელ დიდ ბუბიას, ისიც ხომ ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა!.. მადლობა, სტრიმ!

— ნუ იბუტები, ჩემთან მოდი, აქ ნამონეკი!.. მოგიყვები, როგორ იყო.

— მიყვარს შენს ხალხზე ხერხემლის გასწორება, სტრიმ!.. კარგიააა!.. სპორტით უნდა დაკავდე, თორემ ცუდად დავამთავრებ... კომპის წინ თავმოდრეკილს ამომხდებდა სული, არა?... მითხარი, ხომ ასე გაიფიქრე?

— ჰა-ჰაჰააა!..

— ხედავ, შენს აზრების გატეხვასაც ვახერხებ უკვე, სტრიმ!.. უნდა გადავცვალო ცხოვრების სტილი, ჯანსაღზე!.. სტაფილოს და ვაშლის წვენი უკვე დავლიე... სტრიმ!.. სტრიმ, სტრიმ, სტრიმ...

— შემეშვიი!

— სტრიმ, ულამაზეს ქალთან ტანვარჯიშით დაკავდები... სტრიმ, სტრიმ!

— შემეშვი!.. დღეს წვენი იკმარე!

— ხო-ომ?... მოხდა რამე?

— ...

— ააა!.. აი, რატომა ჩვენი სტრიმ სამყაროზე გამწვანალია!.. რატომ სძულს ტექნიკური პროგრესი!.. რატომ თვლის, რომ ყოველივე ამის სათავეში მისი შეყვარებული დგას თავისი ციფრული პროგრამებით!.. ჰაჰაჰაჰა!.. მოოოდი, მოგეფერო, ჩემო სტრიმ!..

— მაგის ბრალი არააა!.. ნუ აქციე შენი ცოდნა მენსტრუალურ სინდრომზე საკუთარ კოზირად, გესმის?!

— ხო, ხო, სტრიმ, მოდი, მოოოდი... შენს მუცელში გავარვარებულ ლავას გავანელებ, შენს მუცელზე დავდებ ჩემს დენის თავს, არა, არა, გაყინული ტვინს და გაგავრილებ, სტრიმ!.. „ოჰ, რა კარგია, რომ კაცი ქალის მუხლებთან იყოს ნამონოლილი...“

— ეგ ჰამლეტია, ნუ იპარავ!

— იცანი?

— მიყვარს ეგ ადგილი!

— მეც ეგ ადგილი მიყვარს, სტრიმ, სტრიმ!

— შენ გავხარ ჰამლეტს, გირვანქ, შენ ცინიკოსი გიყვი ხარ!.. ისე სწრაფად ფიქრობ, მთავარი გრჩება, საკუთარი ტვინიც დააპროგრამე, შენდაუნებურად ააგე ალგორითმი, რომელსაც მზა დასკვნები გამოაქვს. რა დაგრჩა გასარკვევი? რა გაინტერესებს? ყველაფერი შეგიძლია გატეხო, შეხვიდე, გამოიკვლიო... მეც ასე შემაბი, ჩემს კომპში ჩასახლდი და შემისწავლე, მაგრამ არც ასე მარტივადაა ყველაფერი, შენ ვერ ამოიცნობ გულს, რომც გატეხო, ვერ ამოიცნობ!

— სტრიმ, მე ახლა ვიტყვები.

— არა გირვანქ, შენ ვერ იტყვები!

— და გინდა?

— რა?

— გინდა კაცი, რომელიც კურცხლებით დაგინამავს კაბის კალთას? „ნებას

მაკა ლდოკონენი

QWERTY

(ქალი, რომელიც ამბებს კერავდა)



მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ქვეშ ამოვეფარო...“ თუმცა, სადღა კალთა?... შარვლის უბეს, სტრიმ!

— არა!.. ჰაჰა-ჰაჰაა!

— ნეტავ რომელი კოდური სიტყვაა ამოსვირინებული შენს მარცხენა კერტთან?

— შენი აზრით?

— რომ გამოვიცნო?... რამდენი ასოა?

— გგონია, ჩემს გულს ერთი კონკრეტული სიტყვით გახსნი?

— არა, სტრიმ, მოქმედებაც საჭირო იქნება!.. ჰაჰაჰა!

— ოოო!.. შენ ვერ ხვდები, გირვანქ, ვერაფერს ხვდები!

— დამშვიდდი, სტრიმ, ეს დღეები გაივლის და ყველა კარი თავისით გაიხსნება!

— სისულელე!

— მოდი, მიაბე შენს ბებ-ბებოზე, რა უნიკალური მზითვი ჩამოუტანია სამყაროს ჩიხში. ძვირი უნდა ღირდეს, რამდენი წლისაა?

— 1875!

— ჰო-ო?... 140 წლის, სტრიმ?... შეგიძლია გამედიდრდე.

— ეს მხოლოდ მანქანა არაა, შენ ვერ გაიგებ!

— შევეცდები, სტრიმ, გამოვსწორდები!.. შექსპირის კითხვა ხომ დავიწყე?! დავიწყე, როგორც დაგპირდი!.. მიაბე, მოდი, დღეს სხვა ხეირი მაინც არ მოჩანს შენგან.

— ისევ!

— მორჩა, მორჩა, ყურცქვიტად ვიქეცი, აი!

— ჰა-ჰააა!.. ნარინჯისფერი ულვაშებიც გამშვენებს, გაითვალისწინე!

— შენც!

— ჰო-ო? ჰა-ჰაჰააა!.. მოკლედ, ჩემო გირვანქ, ჩემი ბებ-ბებია, როგორც შენ გამოთქვი, ბევრს მოგზაურობდა. ათას რევას სამოცდაათ რაღაცაში კი ლონდონში ცხოვრობდა და ერთ ადგილობრივ გაზეთში წერილებს აქვეყნებდა — ამბებს სხვა ქვეყნების შესახებ... ნუ ხვრინავ!.. აი, ხომ ხედავ, ადამიანური ამბების მოსმენა არ შეგიძლია!

— სწრაფადაც შეიძლება, სტრიმ!

— მე არ შემიძლია სწრაფად: ეს გაზეთი...

— ადგილობრივი!

— ჰო, ლონდონის ადგილობრივი გაზეთი, რომელიც სხვათაშორის ქრისტოფერ შოულზს ეკუთვნოდა და „South-

port Telegraph“ ერქვა...
 — რემინგტონის შემქმნელ შოულზს!
 — აჰა!
 — აი, რა ყურადღებიანი გავხდი!.. და მერევე?...
 — შოულზს ჰქონდა საბეჭდი მანქანის პატენტი და იმ დროს საბოლოო ვარიანტის დახვეწაზე მუშაობდა, სერიულ ნარმოებაში რომ ჩაეშვათ.
 — დახვეწაზე, არა?! ვერაფერს იტყვი, დაუხვეწავს!
 — ნუ იკბინები... შენ გგონია ადვილი იყო?... შენ ყველაფერს ისე უყურებ... იოლადა! მზამზარეულ კლავიატურაზე ასოების და ციფრების საჭირო კომბინაციას აარჩევ და სასურველ შედეგს იღებ. მაშინ მხოლოდ ხელით წერდნენ, ნარმოიდგინე, გირვანქ, ხელით და უნდოდან სწრაფი ბეჭდვის აპარატი

ტი ჰქონდა!.. გგონია, ერთ დღეში მოგვარდა ყველაფერი? ადექი, აი, ნახე... ნამოდექი!.. ეს ლიტერები და ბუნიკები თავიდან ორიგზე დაულაგებიათ, როიალივით! მერე აღმოჩნდა, რომ ერთმანეთში იხლართებოდა, აღმოჩნდა, რომ ყველას სათანადო სიგრძის ფეხი უნდა ჰქონოდა!.. ისევ ანგარიში, გამოთვლები... სიზუსტე!

— აჰა, ეგ მართალია...
 — მერე მთავარი!.. ასოები!
 — ანუ?
 — როგორ დაეწყეთ?... ჯერ ანბანის მიხედვით დაალაგეს, მოსახერხებელი არ აღმოჩნდა, მერე შეცვალეს, ერთ რიგში წაღმა, მეორეში უკუღმა აწყობდნენ...
 — ეს მნიშვნელოვანი იყო?
 — დახედე!
 — ვუყურებ!
 — ბრმა ხარ, გირვანქ!.. დახედე აქ, ამას დახედე, რემინგტონს, მერე ჩემს ლეპტოპს, შენს მობილურს!.. ვერაფერს ამჩნევ საერთოს?
 — საერთოს?... არა!.. დამცინი?!
 — აი, ნახე, ნახე აქ რა განლაგებაა?... იქ რა განლაგებაა?... შენთან?
 — QWERT?... მაშინაც იცოდნენ?
 — არააა!.. შენ გაუგზავნე მომავლიდან!.. გირვანქ, შენ და შენმა გუნდმა!
 — უცნაურია, მე მეგონა... ანუ ეს მაშინ დაეწყა?
 — მაშინ, დიას: ერთ დღეს ჩემი ბებ-ბები შოულზის სახელოსნოში მიიპატიჟეს რეპორტაჟის გასაკეთებლად, საბოლოო ვარიანტი თითქმის მზად ჰქონდათ, ხალხი მოუთმენლად ელოდა ახალ გამოგონებას. ბებ-ბებმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო... ნარმოიდგინე, აი!.. როგორ გითხრა!..
 — ჰო, დედაშენმა რომ მობილური ნახა პირველად, ისეთი. მესმის!
 — გეყო!
 — ...
 — მოკლედ იმ დამეს ძლივს დაიძინა...
 — შოულზი შეუყვარდა!
 — და დაესიზმრა...
 — შოულზთან?...
 — გირვანქ!.. დაესიზმრა, თითქოს საკერავ მანქანასთან იჯდა, ორ თეთრ ქსოვილს შორის შავი ქსოვილი მოათავსა, ნემსის ქვეშ შეაცურა და ის იყო, გვირისტი უნდა გაეელო, რომ ლამბების ნაცვლად ქსოვილებზე ასოები ამოიქარგა: თეთრზე შავი, შავზე თეთრი... ექვსი ასო: QWERTY! ბებია მსაჭიროდ ჩათვალა, ეს სიზმარი შოულზისთვის მიენერა... მოიცა, გაჩვენებ!
 — სად ნახვედი, სტრიმ?... რას მაჩვენებ?

— უფრაში მაქვს. აი, ნახე!
 — წერილი?... საიდან?
 — პირგადასალები ქალაქის წყალბით, ბებია ყველაფერს ასლს ინახავდა, რასაც წერდა...
 — მართლა?... ხედავ, როგორ წვალობდნენ!.. ახლა ერთი ზარიც საკმარისია, თუნდაც ერთი ესემესი, შენ კი იმ ბნელ დროს ნატრობ...
 — სხვას ვერაფერს ხედავ ამ ამბავში, არა?
 — ვხედავ, როგორ არა! ვხედავ, პირველად როგორ გაჩნდა ინფორმაციის შენახვის აუცილებლობა ნოვატორ ოჯახში, სტრიმ, ჩვენს ბნელ ქალაქში ჩამოსულ ოჯახში!.. პირველი ფაილები თქვენ... ჰო, კარგი, მოვრჩი!.. მერე?
 — შოულზმა ნაიკითხა და მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო ნიშანი... QWERTY იყო უნიკალური განლაგება და ასეც დაალაგა, სამუდამოდ დაალაგა!
 — უცნაურია, ასეთი უნიკალური რით იყო?
 — ხომ ხედავ, საუკუნეები გადის და არ ვცვლით!
 — ეგ მართალია!
 — და კიდევ! ეს შავი და თეთრი ქსოვილები სიზმარში! შოულზმა ნაიკითხა და მაშინვე ახსნა: რამდენიმე ფენად დაანყო თეთრ ფურცლებს შორის პირგადასალები ქალაქები და აკრეფილი ტექსტი გაამრავლა!
 — ჰოი, საოცრებავ!.. მოკლედ ბებიაშენის... სიზმარს მიუცია ბიძგი სამყაროსთვის!
 — აქ ნამოსვლის წინ შოულზმა რემინგტონის პირველი მოდელი აჩუქა და გამოსათხოვარ წვეულებაზე „ლედი ქვერთის“ ნოდებაც მიანიჭა, აი, ნახე... Sholes & Glidden ბეჭდვით ფურცლებზე წერია, ეს ხუმრობით იყო, რა თქმა უნდა!..
 — ლედი ქვერთის საგვარეულო ხის ფოთოლი ყოფილხარ, სტრიმ!
 — ბებია აქ ჩამოვიდა და წერა განაგრძო... უფრო სწორად, ბეჭდვა. აქაურ ამბებს გზავნიდა შოულზის გაზეთისთვის. ადგილობრივებმა ამბების მკერავი ქალი დაარქვეს... ლედი ქვერთისაც ეძახდნენ, მაგრამ არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს ექვსი ასო... საიდან უნდა სცოდნოდან მაშინ!
 — მითხარი სტრიმ, შენს გულსაც ეს ექვსი ასო ხომ არ იცავს?
 — მასხარავ!
 — ცოტა ხნის წინ პრინცი ვიყავი!
 — მითხარი, რა გინდა?
 — შენ?
 — მე?... მე მინდა, დანერო ისეთი პროგრამა, განადგურდეს ყველა სოციალური ქსელი, ყველა თამაში, ჩათები!..
 — სტრიმ, შენ გინდა საბეჭდი მანქანებს დავუბრუნდეთ და ისევ ამბები ვკეროთ?
 — მე მინდა, შენს ალგორითმზე აწყობილ ტვინში შევავლო ვირუსი „ექვსი გრძნობა!“
 — და სილარიბეში ამოგხდეს სული?
 — რატომ სილარიბეში?
 — ყველაფერი თუ განადგურდა, მე უმუშევარი დავრჩები, შენს რემინგტონსაც ველარ გაყიდი, ფასი დაუვარდება...
 — სულელიო!
 — ასე არ გამოვა, სტრიმ, შენ ძალიან სუსტი ხარ, ყველაფერს წინ რომ ალუდგესულ მცირე, სასურველი ვირუსის შექმნა მოახერხო, მითუმეტეს, რომ საქმე დანყბული გაქვს... მეც დაგეხმარები!
 — მართლა?
 — თუნდაც ახლავე!
 — როგორ?
 — შენს რემინგტონზე!.. გაქვს თეთრი და შავი ქსოვილები?... დავბეჭდოთ!.. მუშაობს ნეტავ?... დასაზეთი იქნება!
 — არაუშავს, აი, აილე, ორი თეთრი და ერთი შავია!.. რას დანერ?
 — შენ შორს დადექი! ვინყებ!.. მმმ... აჰა!.. აი... ხო, ხო!.. არ მოხვიდე, არ ჩაიხედო!.. მმმ... აქ ესსს... მმმ... დააა!...
 — რას ნერ?... ველარ ვითმენ!
 — მოსვლა არ გაბედო!.. მე ვკერავ... მე გკერავ, სტრიმ!.. იმ ასოებს მივავენი!! ახლა შენს გულს გატეხვის გარეშე გავხსნი!
 — ?
 — ეს, რა თქმა უნდა, შენი შექმნილი ვირუსის დამსახურებაა, სტრიმ!.. აი, მორჩა!.. დაბეჭდილია!.. შავით თეთრზე... აილე, სტრიმ!.. ასლს მე ვიტოვებ!

ახლა ეს უკვე ადვილი არის...

მინცა, მოთავდა ქარის გნისი, მინავლდა
ალი და მიილია,
ნელა ირხევა ბუჩქი ნიავზე, მზეც დალილია,
ცაც დალილია,
ჩამონადენი მთიდან ნაკადი ნელ-ნელა წყდება
და იწრება,
ველს ავინწყდება ცის დანაქადი, შორს ლანდად კრთება
ჭეშმარიტება.
დანყარდა ხმები, კვლავ საცნაური მოეფინება ფერთა
მივი წყლებს,
ჩავლილ გრიგალს და აურზაურებს
თანდათანობით ფიქრიც ივინწყებს,
მე კი რამდენი გზები ვიცვალე, რომ ყველაფრისთვის
თავი მომება,
ახლა ქაოსი ამოიცალა, აზრიც ადვილად გაიზომება.
ამოსაცნობი კი მრავალია, შეფასებებიც —
კვლავ რაოდენი!
ჟამმა მშფოთვარე ჟინს შეაღია იმედი, რწმენა
და მოლოდინი.
მზერამ რამდენი მინდორი ჰპოვა,
მიაგნო მრავალ ბალნარს და ედემს,
მაგრამ ეს ხმები და ფერთა ტყდომი მიჰქონდათ
ნამთა მეთათსელებს!
თუ რამ გადურჩა ხანგრძლივ ქარიშხალს —
გრძნობათ ნაფლეთნი, აზრთა გუნდები,
თუკი რაიმე ხსოვნამ ჩანიშნა, ახლა ყველაფერს
მიუზბრუნდები;
ინება განსჯა ფიქრების წყნარის,
ფერთა, რაც ირგვლივ გადაღვრილია,
ახლა ეს უკვე ადვილი არის: მზეც დალილია,
ცაც დალილია.

ნუთუ?

ნუთუ ლექსში აღარ ჩადის,
რისიც მე მსურს ჩატევა?
ნუთუ, მცნობი სიდიადის,
იგი ასე მჩატეა?
ის ხომ მუდამ მიმართავს სულს,
სულის გამომხმობელი,
ნუთუ ლექსი, მე რისიც მსურს,
ვერ იქნება მთხრობელი?
ვხედავ მთას, ცას, მინდორს, პლატოს,
იქ სული დავავანე,
ნუთუ, ეს რომ გამოხატოს,
მე ლექსს ვერ დავავალე?
მამ მუსიკის (რაც ჰგავს ღვინოს)
და არსის (მოზიარის)
ერთობა რომ მაგრძნობინოს,
ლექსი უძლური არის?
ვთქვით, მსურს მოვყვე, სადაც ვიყავ,
მივყვე თხრობის ლაღობას,
რითმა, რიტმი ან მუსიკა
განა გზას გადაღობავს?
თუ მსურს დავტკებ ქაოსებით,
მქონდეს ტალღათ მიქცევა,
ლექსიც წყურვილ —დაოსებით
ქარიშხლად არ იქცევა?
თუ ვისურვებ მთვარიან ცის
სიღბოს, რასაც ღამე შლის,
წყნარი გრძნობით გრძნობით ანცის
შეცვლას ლექსი დამიშლის?
როს სევდა მსურს, სტრიქონთ წყებაც
იფიქრება სიცივით,
ფიქრი მინდა? ისიც ხდება
წმინდა, ტბის ლიცილიცივით.
შემოდგომის ხატვა მინდა?-
ყვითელ ფერებს მოისხამს,
ჩამავალ მზის? — ლექსსაც ბინდავს
მწუხრი საღამოსა.
გიმხელს ფეთქვა ტბორეული,
რომ არვინ ჰყავს დამჭერი,
ლექსი არის ორეული,
მერე რარიგ დამჭერი!
ის სახეა სიდიადის,
და თუნდ მზე გადავიდეს,
გნამდეთ, ლექსში მუდამ ჩადის,
რაიც მე მსურს ჩავიდე.

მნათობთა შიგნით

აბასთუმნის ცა. ეჯობება ვარსკვლავი ვარსკვლავს.
ნათება — წყარომიუნვდომი, ლურჯ-ცისფერ-თეთრი,
შუალამეა, ყინვისფერი ცისკიდურს დაჰკრავს,
სულში მოჰონავს შორეთს დანთქმის სურვილი მკვეთრი.
მიულწვევი ელვარება ზღვა ფიქრებს ბადებს,
დრო: შეუქმნადი. მოუსპობი. ფსკერ-უხედავი.
ამ საღამოთი ტელესკოპი სჭერეტდა პლუტონს,
აღმოაჩინე უხილავი. ფარდას ედავე.
ამ მნათობების მოჯარება თვალთაც იოცეს,
შორი. წარსულის მხარეების. წარსულს იქითაც;
ის შუქიც ნახე, აქ რომელმაც ორ მილიონ წელს
ძლივს მოაღწია ანდრომედს გალაქტიკიდან.
აქვს აზრი სწრაფვას, დღეებს — ფიქრით უხვად
დათოვლილს?
ან ქმნას, ან ნგრევას, ან მოსმენას მინიერ დასთა?
ეს შორი რბოლა, წელთა მრავალთ ეს მართონი
არც შეიგრძნობა სამყაროულ უსაზღვრობასთან.

შალვა საბაშვილი



ირმის ნახტომი. ეფერება მნათობი მნათობს.
ცხოვრების გზები ხელის გულზე. უცქირე! სცანი!
მოკრთის. ბრდღვიალებს. გესალმება. გიხსნის. კამათობს.
გადაფენილან ყოველ მხარეს მტრედისფრად ცანი.
ო, სივრცეებო, ფიქრს მრავალჯერ უღმობლად დალით,
აახმინებთ ველურ დაფებს, უცხო დარებს...
უზარმაზარი საოცრება დავცქერის მაღლით,
ხელს გირევს სულში, გაუცხოებს, გასხვანაირებს,
სინარული და მწუხარება
მწუხარება — სინარულის საღამოა,
სინარული — მწუხარების დილა,
თუკი მართლაც გენატრება — აღარ მოვა,
რაიც ჰქუხდა, მიიქცევა ჩრდილად.
ყოველს თვისი წესები და ადათი აქვს,
რაც თითქოსდა მყარი იყო, აქროლდა,

ერთმანეთში განუწყვეტილად გადადიან
გულგრილობა, ანთება და ჩაქრობა.
სიყვარული — გულგრილობის დასაწყისი,
გულგრილობა — სიყვარულის ბოლო,
საზომი აქვს თითოეულ ასაკს მისი,
ხან გსურს შეჰქმნა, ხან — შექმნილი ჰქოლო.
ერთი მხრიდან — გასაოცრად ელვარება,
სხვა, მეორე წერტილიდან — ბნელი,
კარგად მახსოვს, დაუდგრომლად მღელვარება,
ახლა — სიო უნანავებს ნელი.
რასაც თითქოს მარად ელი, აღარ მოვა,
ლამემ შთანთქა ტყეთა ლურჯი ლილა.
მწუხარება — სინარულის საღამოა,
სინარული — მწუხარების დილა...
რაკი მოველ ქვეყანაზე
კარგად ვიცი, რა მოვთხოვო, ანდა მივცე თვითონ
ვის რა,
რაკი მოველ ქვეყანაზე, რაღაც დიდი დამეკისრა.
ზოგთან მძაფრი ბრძოლები მაქვს, ზოგთან — გრძელი
სუფევს ზავი,
გორის წვერზე ციხე დგას და მე ვარ მისი ციხისთავი.
ვდგავარ ბექზე, ყოველ მხარეს დედამიწას გადავყურებ,
ის ტყეებით მე შევმოსე, მწვერვალებით გადავხურე.
ხან მშვიდია, ხან პირქუში, ზოგჯერ — უცხოდ არეული,
მას უხმობენ მზის სხივნი თუ მოქცევანი მთვარეული.
რასაც გულში ფიქრს გავივლებ, ისიც იმას დაისახავს,
ჩემი ვრცელი ისტორია მის სვე-ბედზეც აისახა.
მასში ის ჩქეფს, რაც სწყურიათ მის
მასპინძელ-სტუმართავე,
თუ ეულად მივატოვებთ, გაგვიხდება უმართავი.
დღეს ჩვენ ვადგენთ მის შინაარსს, მის სანუკვარ, წარმტაც
მიზნებს,
თუკი განზე განვუდგებით, სხვაც არავინ შეიხიზნებს.
მთავარი კი, ვინც აცოცხლებს მის
მარადულ-ნაურთმევარ
დიდ სამყაროს, ჟამის ახალ მონაკვეთში მხოლოდ
მე ვარ.
მომავლინეს გაზაფხულით ხეთა ტურფად
შემფურცვლელოდ,
გარდასულის არსებობაც ჩემს ხსოვნასლა ეფუძნება.
მაბარია ყველას სუნთქვა, ხელთ მიჭირავს ყველა ძაფი,
დიად ჰანგით მთელ სამყაროს ამღერებას მივესწრაფი.
დავატარებ ურიცხვ გზებზე რიჟრაჟებს თუ ღამის
ბინდებს,
ჩემს ანწყობი უნდა ყველა დროთა ჯამი გამოვლინდეს...

აცდენა დედასთან

ჟამი სევდის მთოველ
წამებს მოასწავიდა,
მე სოფელში მოველ,
იგი — შორეთს წავიდა.
ხმა მიღმიერ ქარის...
ყოველი ხე ბერწდება;
თუმც კვლავ აქვე არის,
მზერა უკვე ვერ წვდება.
ცის შორეულ ხუფებს
ხმობს ბრწყინება სარკეთა,
ყველა ნივთში სუფევს,
მაინც გამოცალკევა.
კვლავ ცვლის ღამეს დილა,
მაგრამ (ვგრძნობდი წინათვე)
გადაიქვა ჩრდილად
კოსმიური სინათლე.
არ უშველის კემსვა,
მყარს ვერ შექმნის ზმანება,
დიდხანს, დიდხანს გემწყეფსა,
ბოლოს ჟამს მიგვანება.
თვალებს რაღაც ცივი
სამყარო გადაუხსნეს,
შეიჩება ტივი
რაღაც უღვთოდ აუხსნელს.

მწერალი

ზაალ სამადაშვილი

თხუთმეტიწლიანი მწერალი ზაალ სამადაშვილი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ლიტერატურული კონკურსის დამაარსებელი გახდებოდა. იმ რთულ პერიოდში მეგობრებთან ერთად უფროსად „XX საუკუნეს“ რედაქტორობდა და ცდილობდა, კარგი ტექსტები მიეწოდებინა ადამიანებისთვის, ვისთვისაც მატერიალურ გაჭირვებაშიც კი პურსა და წყალსავით აუცილებელი იყო ლიტერატურა.

მხატვრულ სიტყვაზე ფიქრი და ამით ცხოვრება არც მოგვიანებით შეუწყვეტია, როდესაც მწერლობიდან პოლიტიკაში გადაინაცვლა. ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს წევრობისას გაუჩნდა იდეა, დაეარსებინა ლიტერატურული კონკურსი „გალა“, რომელიც პირველად ექვსი წლის წინ გაიმართა. მას შემდეგ ეს კონკურსი ყოველწლიურად უყრის თავს მხატვრული სიტყვის მოყვარულებს და წლის ლიტერატურულ შედეგებს აჯამებს. ბატონ ზაალს სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ვენვიეთ.

— რამდენადაც ვიცი, კონკურსებში მონაწილეობა არ გიყვართ, ამის მიუხედავად, რამდენიმე წლის წინ ლიტერატურულ პრემია „გალას“ ჩაუყარეთ საფუძველი. რა იყო მიზეზი?

— უპირველესად, ის, რომ მანამდე არსებული კონკურსები არ მომწონდა. ორიგინალური ვერ ვიქნები, თუ ვიტყვი, ნებისმიერი ახალი ლიტერატურული კონკურსი წიგნების პოპულარიზაციას უწყობს ხელს და მწერლისთვისაც უფრო მეტი სტიმულია. რამდენად საინტერესო გამოვიდა „გალა“ და რამდენად ამართლებს თავის დანიშნულებას, მკითხველი საზოგადოების გადასახვევითაა. ვნახოთ, ის ჯერ მხოლოდ 6 წლისაა.

— თუმცა რაღაც კონტურებზე უკვე შეიძლება ლაპარაკი. რა ტიპის კონკურსად ყალიბდება „გალა“?

— გეთანხმებით, კონტურები გამოიკვეთა. ჯერჯერობით „გალა“ ლიტერატურული კონკურსის ძირითად დანიშნულებას ამართლებს. ეს არის აღმოჩენა, შეფასება და დაფასება. აღმოჩენაზე როცა ვსაუბრობ, მხოლოდ ახალბედა, დამწყებ შემოქმედებს არ ვგულისხმობ. არიან ავტორები (და ამის მაგალითი არაერთია), რომლებიც წლების მანძილზე ძალიან კარგად მუშაობდნენ, ქმნიდნენ ორიგინალურ ტექსტებს, თარგმნიდნენ, წიგნის მხატვრობით იყვნენ დაკავებულნი და ამის შესახებ მხოლოდ ლიტერატურის მოყვარულთა მცირე წრემ იცოდა. ჩვენი მიზანია, ასეთი ადამიანები ფართო საზოგადოებას გავაცნოთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად გაუჩნდეთ განცდა, რომ შეამჩნიეს და დააფასეს. აი, ეს არის „გალას“ პრინციპები.

— თავისი ფორმით და შინაარსით ეს კონკურსი უფრო აკადემიურობისკენ იხრება. ამას ნომინაციებიც უწყობს ხელს. შესაძლოა, დებიუტანტებისთვის ცალკე ნომინაციის არსებობას ახალგაზრდების უფრო მეტად დაინტერესება გამოეწვიოს.

— ჩვენი ნომინაციები განსხვავდება სხვებისგან და ეს კარგად აღნიშნა ერთ-ერთმა გამომცემელმა. მეექვსე წელია „გალა“ იმართება და ამ თემაზე ასე ცხადად და მკაფიოდ არავის უსაუბრია. საქართველოში არ არსებობს კონკურსი, სადაც საბავშვო წიგნებს, წიგნის მხატვრობას და ლიტერატურულ პროექტებს აფასებენ. რაც შეეხება დებიუტანტებს, ასეთი ნომინაცია არ გვაქვს და არც სურვილი გვქონია დაგვეარსებინა, რადგან ჩვენი განაცხადი უფრო ამბიციურია — „წლის წიგნი“ ნომინაციაში თავისუფლად შეიძლება გაიმარჯვოს ახალბედა ავტორ-

მა, თუ მისი ტექსტი მაღალი მხატვრული ღირებულების იქნება. მწერლობის ისტორია ძალიან ბევრ დებიუტანტს იცნობს, რომლის პირველივე წიგნი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკად იქცა. ამიტომ ამ საზომით მწერლის შეფასება მთლად მართებული არ მგონია.

— შარშან „გალას“ ნომინაციებს „წლის საუკეთესო კინოსცენარი“ შეემატა, რამაც განსაკუთრებით სცენარისტები და კინოს მოყვარულნი გაახარა.

— ეს იყო ჩვენი და კულტურის სამინ-



ისტროს ერთობლივი გადაწყვეტილება, რომელსაც ეროვნული კინოცენტრი ექვემდებარება. ამ შემთხვევაში ჟიურის, რომელიც „გალაზე“ შემოსულ წიგნებს აფასებს, მათი წარმომადგენელი დამატებითი დამსახურება — მასალების მიღება და გადარჩევა კინოცენტრში ხდება, ჩვენთან კი 3-4 სცენარი შემოდის, საიდანაც საუკეთესოს ვავლენთ. სხვათა შორის, სწორედ ამ ნომინაციაში გაიმარჯვა შარშან დებიუტანტმა კონკურსანტმა მაკა კუკუელავამ, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

— ნომინაციების გაზრდას ხომ არ გეგმავენ?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, წელს არაფერი შეიცვლება. სამაგიეროდ, 5000 ლარამდე იზრდება საპრიზო თანხა. მოგეხსენებათ, ეს საკრებულოს მიერ დაფუძნებული კონკურსია და საკითხი საპრემიო ფონდის მომატების შესახებ სხდომაზე უნდა გადავიდეთ. იმედი მაქვს, ჩემი კოლეგები წიგნის პოპულარიზაციასა და მწერლების სტიმულირებაზე უარს არ იტყვიან.

— ლიტერატურული პრემიების ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ჟიური. ბოლო სამი წელია „გალას“ შემფასებელთა უცვლელი შემადგენლობა ჰყავს. ეს თავიდანვე იყო განსაზღვრული?

— ჩვენთან ჟიური არ იცვლება, იცვლებიან გამარჯვებულები. რასაკვირველია, თუ ვილაცას კონკრეტული მიზეზი აქვს, სხვა ადამიანით ჩავანაცვლებთ, მაგრამ ყოველწლიური განახლება თვითმიზანი არ ყოფილა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჟიურის სტაბილური შემადგენლობა გამოიკვეთა: ნინო ქაჯაია, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ სამადაშვილი და მამუკა ხერხეულიძე, რომელთაც შარშან ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი, ნინო კუხალაშვილი დაემატა.

— არ გიფიქრიათ, რომ ვილაცას შეიძლება ეჭვი შეეპაროს მათი შეფასების ობიექტურობაში?

— არა, რადგან ამ ადამიანების კვალიფიკაციას და გემოვნებას ვენდობით და მათ ეს წლების განმავლობაში დამტკიცეს. რასაკვირველია, კონკურსი კონკურსია და ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ვერც აბსოლუტურ ობიექტურობას მოვთხოვთ, რადგან ჟიური ჩვეულებრივი ადამიანებისგან შედგება, რომელთაც საკუთარი ლიტ-

— მთავარია, კარგი წიგნები შემოვიდეს, რადგან კონკურსი უამისოდ ვერ იარსებებს. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს მის ხარისხს. ვისურვებდი, მომავალში გაცილებით საინტერესო და მაღალმხატვრული ნაწარმოებები წარმოადგინონ არა მხოლოდ „გალაზე“, ნებისმიერ სხვა კონკურსზეც, რადგან ამაზეა დამოკიდებული ქართული ლიტერატურის განვითარების დონე. ბევრი კარგი წიგნი არჩევანს ართულებს, სამაგიეროდ, განსაკუთრებულ წარმატებას ნიშნავს.

— სხვათა შორის, „გალაზე“ პრემიის გაყოფის მცდელობა არ ყოფილა.

— ჯერჯერობით არ გაუყვივით და ვფიქრობ, პრეცედენტს არც მომავალში დაუშვებენ. მიზეზი მარტივია — როგორც კი ორზე გადახვალ, შეიძლება სამიც გაჩნდეს. ერთმა ავტორმა მითხრა, იყოს თითო ნომინაციაში სამ-სამი ადგილი. რომ ვკითხე, რატომ-მეთქი, გასაოცარი პასუხი მოვისმინე: მეტი კმაყოფილი ადამიანი გეყოლებაო. პოლიტიკოსივით ლაპარაკობდა. კონკურსები არ იმართება იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი ადამიანი გყავდეს. კონკურსზე ნიჭიერი კაცის მიერ დაწერილი კარგმა წიგნმა უნდა გაიმარჯვოს.

— ბოლო წლების ქართულ ლიტერატურაში აშკარად იგრძნობა გამცოცხლება, ყოველ შემთხვევაში, გასულ ათწლეულთან შედარებით. ამაზე კონკურსებზე შემოსული წიგნების რაოდენობაც მეტყველებს. სხვა ამბავია, რა ხარისხის ტექსტები იწერება. თქვენთვის რა არის მისაღები ან მიუღებელი?

— ლიტერატურა ცოცხლობს, ლიტერატურა ცხოვრობს. ყველა მწერალს და მითარულეს ჰყავს თავისი დამფასებელი, მაგრამ მე და ჩემი მკითხველი მაინც ისეთ ტექსტებს ვანიჭებთ უპირატესობას, სადაც იგრძნობა, რომ მწერალს უყვარს ადამიანი, თანაუგრძნობს, სჯერა მისი. წიგნები, რომლებიც მკითხველის დასათრგუნად და შესაძრუნებლად იწერება, ჩემთვის მიუღებელია. მნიშვნელობა არა აქვს, ქართველი დაწერს თუ ფრანგი. რასაკვირველია, ამ ტიპის ლიტერატურას აქვს არსებობის უფლება და არსებობს კიდევ, მაგრამ უინტერესოდ მიმაჩნია. ჩემთვის პირველი პოზიციაა ფასეული და რაც უფრო მეტ კარგ ავტორს ექნება ასეთი დამოკიდებულება საკუთარი ნაწერებისადმი, მით უკეთესი მკითხველისა და მწერლობისთვის. ლიტერატურა ადამიანისთვის თავშესაფარი უნდა იყოს, სადაც შეისვენებ, ამოისუნთქებ, გათბები და დაპურდები, რათა გააგრძელო გზა, რომელსაც ცხოვრება ჰქვია. ასეთი ლიტერატურა მიყვარს და ასეთ წიგნებს ვეძებ „გალაზეც.“ რომ გითხრათ, ხშირად ვპოულობთ-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ძებნაც საქმეა.

— თქვენს შემოქმედებაზეც ვისაუბროთ, მით უფრო, რომ ამ მხრივ სიახლეა. რამდენიმე თვის წინ ახალი წიგნი გამოვიტო — „ავტოპორტეტი წიგნების ფონზე.“

— მაღლობელი ვარ გამომცემლობა „დიოგენისი“, რომელთანაც პირველად ვითანამშრომლეთ. ამ ადამიანებს უყვართ წიგნი და იციან მისი ფასი. ვიზუალურადაც ძალიან ლამაზი გამოვიდა — პატარა, კოხტა, შეგიძლია გულის ჯიბეში ჩაიდო.

— უბის წიგნაკის ასოციაციას იწვევს, რაც ზუსტად შეესაბამება მასში შესული ტექსტების არსს, ჩანანერებს ვგულისხმობ. რამე კონკრეტული ჩანაფიქრი ხომ არ გქონიათ მასზე მუშაობისას, გზავნილი მკითხველისადმი?

— როგორც გითხარით, ჩემი მიზანია ვწერო ისე, რომ კითხვისას ვილაცამ ოდნავ მაინც მოითქვას სული. ეს წიგნიც, როგორც ყველა დანარჩენი, ამ მიზანს ემსახურება. შეიძლება უფრო მეტადაც, რადგან ისეთი ტექსტები შევიტანო, რომლებიც გულისხმიერ მკითხველს ამის შესაძლებლობას მისცემს. ამიტომ იყო მნიშვნელოვანი პოლიგრაფიული მხარე. მათარასავით წიგნი მინდოდა ყოფილიყო — სულ რომ თან გაქვს, მოგყნურდება — დაღვე და თუ ვინმეს მათარის მაგივრობასაც გაუწევს, ძალიან ბედიერი ვიქნები.

— ჩანანერების გამოქვეყნება ცოტა ხნის წინათ დაინწყით. დიდი ხანია წერთ?

დასასრული მე-14 გვერდზე



გამომცემელი

თამარ ლებანიძე

მკითხველი უკვე იცნობს გამომცემლობა „დიოგენეს“ სერიას სახელწოდებით „დიოგენეს ბიბლიოთეკა“, რომელიც არცთუ დიდი ხანია გამოდის. ბოლო დროს მის შესახებ საზოგადოების უფრო ფართო წრე სატელევიზიო რეკლამის საშუალებითაც შეიტყო. წლებად წინააღმდეგობა გასწავლილი და დირექტორს თამარ ლებანიძეს საგამომცემლო სიახლეებზე რომ ვეკითხებოდით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტად სწორედ „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ დაასახელა. თუმცა ამ სერიის მიმართ მზარდი ინტერესი ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა, რამაც გამომცემლობაში სამი წლის თავზე კიდევ ერთხელ შეგვახება. „დიოგენეს“ ხომ მუდმივად მოქმედი, ახლის მაძიებელი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც არაერთი ლიტერატურული პროექტით, აქციით თუ წამოწყებით იქცევა ყურადღებას და იზიდავს მკითხველს.

გამომცემლობის სიახლეებზე ქალბატონი თამარ ლებანიძე გვსაუბრა.

— სერია „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ ვფიქრობ, გარკვეულწილად საეტაპოა თქვენი გამომცემლობისთვის, რადგან მასში ჩადებულია გამომცემლისა და სარედაქციო ჯგუფის ლიტერატურული გამოცემების, ნიგნისადმი დამოკიდებულების და რაც მთავარია, მკითხველისადმი დამოკიდებულების გზავნილები.

— ყველაზე მთავარი, რაზეც „დიოგენეს“ ბოლო თვეების მანძილზე მუშაობს, საკუთარი მკითხველის ძიებაა. ჩვენ არა მარტო ვეძებთ, არამედ ვზრდით მკითხველს. ამ ამბიციური პროგრამისა თუ გეგმის ძირითადი ნაწილი, ნიგნების თვალსაზრისით, „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ გახლავთ. სერია, რომლის სახელწოდებაში თვით გამომცემლობის სახელი ფიგურირებს, ნებისმიერი გამომცემლობისთვის ღირსი-პროექტია, საკუთარი თავის წარდგენის საშუალებაა, ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი საზოგადოებისთვის.

„დიოგენეს ბიბლიოთეკის“ სერიის მხრივ, შეზღუდვებს ნაკლებად შეიცავს, არ გვაკლავს, მაინცა და მაინც ბესტსელერები, ან თანამედროვე ლიტერატურა გამოცემა. ზოგადად რომ ვთქვათ, ვცდილობთ მკითხველს შევთავაზოთ ის ნიგნები, რომლებიც იქამდე არ არსებობდა ქართულ ენაზე და რომელსაც მკითხველი დიდი ხანია ელოდა. სერიის გამოცემათა ოთხმოცდაათი პროცენტი სწორედ ასეთია. ჯერჯერობით შვიდი ნიგნია გამოცემული. ესენია: ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“, ედით უორტონის „უმანკობის ხანა“, ფოლკნერის „დროშები მტვერში“, ვუდჰუსის „დაიკიდე, ჯივო!“, პოლ ოსტერის „მისინის ღამე“, ორჰან ფაშუქის „სტამბოლი“ და უმბერტო ეკოსა და კარდინალ კარლო მარია მარტინის დიალოგი „რა სწამს მას, ვისაც არ სწამს“. რასაკვირველია, ნაწარმოებებიცა და მთარგმნელებიც საგულდაგულოდ შევარჩიეთ, წარმოვადგინეთ მრავალფეროვნება როგორც ეპოქების, ასე უანრების თვალსაზრისით. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ნიგნებს რეკომენდაციას ვუწვევთ მკითხველთან, ვეუბნებით მას: ეს საკითხავი თქვენთვის შევარჩიეთ, რადგან ვფიქრობთ, რომ კარგი ნიგნებია.

— უკვე გამოცემული ნიგნების მაგალითზე, სერიის მრავალფეროვნება, რაზეც ზემოთ საუბრობდით, სახეზეა. ესენი სრულიად განსხვავებულ კულტურულ სივრცეებში შექმნილი ნაწარმოებებია.


— შემდეგი სამი ნიგნი — ჯეკ კერუაკის „გზაზე“, მილან კუნდერას „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“, და ჯონ მაქსველ კულტუის „სირცხვილი“ ერთდროულად გამოვა სექტემბრის პირველ ნახევარში. საშუალოდ, სერიის ტემპი ასეთი იქნება — ორი ნიგნი თვეში. ამ წუთას ვერ ვიტყვი, როდის გავჩერდებით, ან რა დროს ამოგვეწერება სათქმელი, რადგან თეორიულად ეს სერია შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს, მასში შევიდეს ბევრი ისეთი ნიგნი, რომელიც ჯერ სამშობლოშიც არ გამოცემულა, ან — სულაც ახლა იწერება, ანდა შევიდეს კლასიკური ლიტერატურის ისეთი ნიმუში, ქართულად რომ არასოდეს თარგმნილა. ვფიქრობ, ჩვენი გამომცემლობის იმიჯის თვალსაზრისით ამგვარი ფორმატი ლოგიკურია და როგორც გამომცემელს, ისე მკითხველს თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევს.

— სერიის ნიგნებს სხვადასხვა ფასი აქვს.

— ყველაფერთან ერთად, არც ფასია უნიფიცირებული. ნიგნებს, მათი მოცულობის შესაბამისად, სხვადასხვა ღირებულება აქვს. ლიტერატურული სერიები დიდი ხანია სიახლეს აღარ წარმოადგენს, ქართველი მკითხველი იმასაც მიეჩნია,

რომ სერიული გამოცემები დაახლოებით ერთსა და იმავე ფასში იყიდება. ჩემი აზრით ეს არ არის სწორი, რადგან ობიექტურად ნიგნების დანახარჯი ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, ვცდილობთ, ჩვენმა მკითხველმაც გაითავისოს, რომ ერთი სერიით გამოცემული ნიგნები სხვადასხვა ფასი შეიძლება ღირდეს.

აქვე აღვნიშნავ, რომ „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ ნიგნებს ნუმერაცია არ აქვს, ესეც გამომცემლობის პრინციპული პოზიციაა, მყიდველი თავისუფალი უნდა იყოს



„ნიგნი კითხვაში უნდა გაცვდეს“

არჩევანში, რომელი ნიგნიც სურს — იყიდოს. აუცილებელი არ არის, სერიის ყველა გამოცემა თაროზე ჩაამწკრივოს და ინტერერის ნაწილად აქციოს. ჩვენი სურვილია, ეს ნიგნები კითხვაში გაცვდეს.

— რამდენადაც ვიცო, სერიის დიზაინმა, ზოგადად თარგმანმაც გარკვეული კამათი გამოიწვია.

— ვიცნობთ, თარგმანის გარშემო ობიექტური კრიტიკა მოვისმინო, რადგან გამომცემლობას, მთარგმნელებსა და რედაქტორებს მუშაობაში ისე არაფერი ეხმარება, როგორც ჯანსაღი, პროფესიონალური კრიტიკა. აქამდე მხოლოდ ზედაპირული, უსაგნო და იმდენად სუბიექტური კრიტიკა მოვისმინე, რომ ვერც კი ვხვდები, რა კონტრარგუმენტით ვუპასუხო. როგორც გამომცემლობაში ვმსჯელობთ ხოლმე ამა თუ იმ ნიგნის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ისე მკითხველსაც რომ გაეზიარებინა ჩვენთვის მოსაზრებები ამა თუ პრობლემური თემის გარშემო, ბედნიერი ვიქნებოდით. სამწუხაროდ, ასეთი მსჯელობები არათუ მკითხველის დონეზე, არამედ პროფესიონალთა წრეშიც იშვიათობაა. ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისთვის აუცილებელია გაჩნდეს დაკვეთა. მაგალითად, მარშან გამოვეცით ნუგზარ მუხამბეის კრიტიკული კრებული „გაქცევა ისტორიიდან“, რომელმაც შესაბამის ნომინაციაში ლიტერატურული პრემია „საბა“ დაიმსახურა. მანამდე ბატონ ნუგზართან სხვა მიმართულებით ვთანამშრომლობდით, შემდეგ ვუთხარით, რომ გვჭირდებოდა კრიტიკული ნერილები კრებული. „გაქცევა ისტორიიდან“ სწორედ „დიოგენეს“ დაკვეთით შეიქმნა. იმედი მაქვს, საზოგადოებაში მოთხოვნა მალე გაჩნდება და ლიტერატურისთვის ასე მნიშვნელოვანი პროფესიონალური კრიტიკული ნერილები სულ უფრო მეტი დაიწერება.

— რას იტყობდით „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ დიზაინზე?

— ჩემთვის სერიის დიზაინი ძალიან სადაა, ფაქიზია. რა თქმა უნდა, ნიგნების ამგვარი გარეგნული მხარე ბევრისთვის უცხო აღმოჩნდა, რადგან ბოლო წლებში საზოგადოება მიეჩნია „ყვირილს“, „მტკიცებას“. ჩემს მაგიდაზე აწყობა ვერსიები, რომელთაც სერიის დიზაინზე მუშაობისას განვიხილავდით. რამდენიმე ვარიანტი გვქონდა, თუმცა მიმაჩნია, რომ საუკეთესოა ვერსია, რომელიც საბოლოოდ შევარჩიეთ და ის ტექსტის, ავტორის და ზოგადად, ლიტერატურის მიმართ ჩვენს პატივისცემას გამოხატავს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველი მკითხველი „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ არა მარტო გარეგნულ იერს მიეჩვენება, არამედ — მასში წარმოდგენილი ტექსტების კითხვასაც. თუმცაღა დღევანდელი მონაცემებით ვერ ვიტყვით, რომ ძალიან გაყიდვადი ნიგნებია. როგორც ჩანს, ეს იმ რისკის საფასურია, რაც თავიდანვე ჩაიდო პროექტში. შესაძლებელია სურათი მოგვიანებით, სადაც შემოდგომა-ზამთრისკენ შეიცვალოს, როცა სერიას ახალი ნიგნები დაემატება და მკითხველს მეტი არჩევანი ექნება. თავბრუდამხვევი ნარმატების იმედი არ გვაქვს, მაგრამ ძალიან გვახარებს ის, რომ პროექტი განხორციელდა.



— გამომცემლობისთვის მკითხველთან ცოცხალი ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად სოციალური ქსელები იქცა. რომელ გამომცემლობას არ შეხვდები ღღეს ასე პოპულარულ „ფეისბუქზე“, მაგრამ ისეთი გაცხივებული ლიტერატურული-კრიტიკული „ცხოვრება“ თქვენთან რომაა, სხვასთან არ მინახავს. თქვენს „კედელზე“ წერია კიდევ: „ეს გვერდი შეიქმნა რათა დაეუკავშირდეთ მათ, ვისაც ნიგნი ჩვენსათვის უყვარს“. მკითხველთან დასაკავშირებლად სხვადასხვა გზები გაქვთ მოძიებული — საუბრები ლიტერატურაზე, ყოველდღიური საგამომცემლო საქმიანობის გაშუქება, კონკრეტული მხატვრული ტექსტების შეთავაზება და გაჯიბრება მათ უკეთ ცოდნაში, საუკეთესო მკითხველების დაჯილდოვება და ასე შემდეგ. ხუთშაბათობით თქვენს გვერდზე განთავსებულ



„საკონკურსო შეკითხვებს“ ხომ უამრავი ადამიანი ელოდება.

— ძალიან მიხარია, რომ პროცესი დაიძრა. მაღლიერი ვარ ჩემი კოლეგების, კონკურენტების, ყველა იმ გამომცემლისა, ვინც შეინარჩუნა საკუთარი თავი, არ აპყვავა შინაგან ცდუნებას, იოლი გზით ემოვა ფული და მოიფიქრა გამოცემა ახალი ნიგნები, თუნდაც ძველები ხელმოურედ. ჩემთვის მთავარია გაჩნდეს მოთხოვნა ტექსტზე. როცა ადამიანი კითხვას იწყებს, რაღაც ეტაპზე ის აუცილებლად მოისურვებს გაეცნოს სხვა ტექსტებსაც, დაუწყებს ძებნას ახალ საზრდოს და მამინ ბუნებრივად გაჩნდება შინაარსობრივი თვალსაზრისით, დიზაინის თვალსაზრისით ახალი, პრინციპულად ახალი ნიგნი. მთავარია, ეს უწყვეტი პროცესი იყოს.

ჩვენ ვლაპარაკობდით მკითხველზე. რა თქმა უნდა, მათი რაოდენობა გაიზარდა. განსაკუთრებით მახარებს, ახალგაზრდები რომ ინტერესდებიან ნიგნით. ცხადია, ზოგიერთი მათგანი იოლი ნიგნის, იოლი ტექსტების მკითხველად დარჩება, მაგრამ ნაწილი ნელ-ნელა გაერთულებს ამოცანას და საბოლოოდ ჩამოყალიბდება მკითხველად ამ სიტყვების მრავალსაუკუნოვანი გაგებით, მარადიული გაგებით.

— „დიოგენეს“ ბათუმში — ეს ახალი პროექტია?

— დაინწყით საზაფხულო კამპანია — აქტიურად ვმოგზაურობთ რეგიონებში და ვცდილობთ კომუნიკაცია გვექონდეს იქაურ მკითხველთან. ბათუმში ორჯერ ვიყავით. იქაურებთან პირველი შეხვედრა იენისის დასაწყისში შედგა, „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ წარვადგინეთ. მთარგმნელებმა, მთავარმა რედაქტორმა — ყველამ თავისი სათქმელი უთხრა მკითხველს, შემდეგ ლიტერატურული თამაშიც გაემართეთ. ჩემი აზრით, ორივე შეხვედრა ბათუმელებთან ძალზე დასამახსოვრებელი და წარმატებული იყო. ვიყავით ხაშურშიც. გვინდა ზუგდიდელს, თელაველს ვენვიოთ. იმედი მაქვს, ყველაფერს მოვასწრებთ. რეგიონებში გასვლების მიზანი სწორედ ის არის, რომ ვიპოვოთ ახალი მკითხველი, დავაინტერესოთ ისინი ჩვენით, ზოგადად — ლიტერატურით.

მოგესხენებათ, დანიელ პენაკის „რომანივით საკითხავმა“ გამოსვლისთანავე მიიპყო ქართული მკითხველის ყურადღება და აქცენტირდა როგორც ერთგვარი სახელმძღვანელო მშობლებისა და პედაგოგებისთვის, თუ როგორ აღძრან ბავშვებში ინტერესი კითხვის მიმართ. რასაკვირველია, მთლად ასე არ არის, თუმცაღა ავტორს მსგავსი კეთილშობილური ჩანაფიქრი უთუოდ ჰქონდა. რეგიონებში, სადაც ამ ნიგნს წარვადგინეთ ხოლმე, განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ მშობლები და მასწავლებლები იჩენენ. ისინი მოტივირებულნი მოდიან შეხვედრებზე, ყურადღებით ისმენენ ყველაფერს, სურთ საკუთარ თავში უპირველესად მოიძიონ საუკეთესო პედაგოგისა თუ საუკეთესო მშობლის რესურსი და სწორად წარმართონ ბავშვის მკითხველად აღზრდის პროცესი. გვერდიდან მათი ცქერა ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის.

— „დიოგენეს“ ყველა პროექტი თუ აქცია ერთ უმთავრეს მიზანს ემსახურება — საუბარიც ხომ ამით დაიწყეთ — მკითხველის პოვნასა და აღზრდას. ლიტერატურის მოყვარე საზოგადოებასთან კომუნიკაციის ადგილად იქცა მალაზია „დიოგენეს“, რომელიც მკითხველს მხოლოდ იმიტომ არ უყვარს, რომ დაგროვების ბარათითა თუ ფასდაკლების სხვადასხვა ღონისძიებით ხშირად ანებიერებთ, არამედ იმიტომაც, რომ იქ აქტიური ლიტერატურული ცხოვრება მიდის, იმართება მწერლებთან შეხვედრები, პრეზენტაციები და სხვა. მგონი, მკითხველთა ერთი წრე თქვენი მუდმივი სტუმარია.

— მუდმივი სტუმრები მართლაც გვყავს და მათ განსაკუთრებით ვანებიერებთ. შეუძლებელია ისინი არ გიყვარდეს. მალაზია „დიოგენეს“ აფაქიძის ქუჩაზე, სპორტის სასახლესთან მდებარეობს. წმიდა კომერციული თვალსაზრისით ის ნამგებიან ლოკაციაშია, ისეთი ადგილმდებარეობა აქვს, რომ ადამიანი აქ შემთხვევით არ მოხვდება, საგანგებოდ უნდა მოვიდეს ან ჩვენ უნდა მოვიყვანოთ. ეს არის ძალიან რთული ამოცანა. სამაგიეროდ, დასასრული მე-14 გვერდზე

ზაალ სამადაშვილი:

„ლიტერატურა თავისთავად უნდა იყოს“

დასასრული

— წერით, კარგა ხანია ვწერ, უამრავი ჩანაწერი მაქვს. მას შემდეგ, რაც პოლიტიკით დავეკავდი, მთელი თავისუფალი დრო ამ საქმეს ხმარდებოდა. ვინერ ყველაფერს — შთაბეჭდილებებს, ამბებს, რომლებიც გადავხედავ, ფრაზებს... ექვსი დიდი რვეული დამიგროვდა. ბოლო დროს გავაერთიანე და „კალამს მიღვევებით დანერვილები“ დავარქვი. ეს არის მთელი მიმდინარეობა შუა საუკუნეების იაპონურ მწერლობაში — „ძიუხიციუ“, სადაც წერ ყველაფერზე, რაც თავში მოგივა, რაზეც ფიქრობ, რაც იმ მომენტში გაღელვებს.

— სხვათა შორის, ამ წიგნის განმარტებაში ისიც წერია, ამ დროს მწერალი შინაგანადაა განათებული.

— „განათება“ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, უფრო ზეამაღლებულ მდგომარეობას გულისხმობს. იაპონელები მაინც სხვანაირი ხალხია, სხვა კატეგორიებით აზროვნებენ, მაგრამ დამუხტული მართლა ხარ, სათქმელით სავსე და გინდა ეს სათქმელი ფურცელზე გამოვლავრო.

— საინტერესო მიმართულებაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, გაეცნოს ავტორის შინაგან სამყაროს. არა მხოლოდ იმას, რასაც მწერალი თხზავს, არამედ მის გრძნობებს, განცდებს, შთაბეჭდილებებს. სამწუხაროა, რომ ქართული გამოცემლობები ამ უნარით მაინცდამაინც არ ინტერესდებიან, თუ არ ჩავთვლით „ინტელექტს“, რომელმაც ორი-სამი წელია დაიწყო ცნობილი მწერლების ჩანაწერების გამოცემა.

— ძალიან კარგი სერია გამოვიდა — ოთარ ჭილაძის, ბესიკ ხარანაულის, ბაჩანა ბრეგვაძის, ოთარ ჩხეიძისა და სხვათა ჩანაწერები, რომლებიც არანაკლებ საინტერესოა (მეტად თუ არა), ვიდრე მათი შემოქმედება. ეს არის ის, რასაც მწერალი

თავისთვის წერს. ამას წინათ ბორის აკუნინთან ინტერვიუს ვკითხულობდი, სადაც თავის ახალ ნიგნზე საუბრობს: ეს რომანი დანარჩენებისგან ძალიან განსხვავდება. მასზე მუშაობისას მწერლად ვგრძნობდი თავს, რადგან ჩემთვის ვწერდი, არ ვთხზავდი და მკითხველზე არ ვფიქრობდი. მსგავსი მოსაზრება სხვებისგანაც მომისმენია, თუმცა რომანმა ძალიან დამაინტერესა. მიინდა გავიგო, რა დანერა ამ სწორუპოვარმა მთხვევლმა საკუთარი თავისთვის.

— რადგან რომანზე ჩამოვარდა სიტყვა, თქვენს ერთ-ერთ ჩანაწერს გავისვენებ, სადაც წერთ, რომანები იშვიათად ხვდება ჩემს მაგიდაზე. უფრო ესეისტურ და ბიოგრაფიულ ტექსტებს ვეძებო. რას „ეჩრით“ ამ წიგნს?

— რომანი, როგორც უნარი ძალიან მიყვარს, მაგრამ კარგი რომანი თითქმის ჩამოსათვლელი. ხელახლა ვკითხულობ დღესაც ნაკითხულ ფოლკლორის „სარტორისს“, რომელიც წლების წინ ვერ შევირგე (როგორც ჩანს, სწორედ ახლა დადგა მისი ნაკითხვის დრო). ბრწყინვალე ტექსტია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფოლკლორის მიერ დანერვილი. რატომ მოვიყვანე ეს მაგალითი? რომანის საწერად რომ დავჯდები, მიახლოებული შექმნა უნდა შეგეძლოს — ულამაზესი, უმტკიცესი კონსტრუქციის აგება და არა გვერდების გავსება შენი ნაწერით. ასეთი კი მსოფლიო ლიტერატურაში ძალიან ცოტაა.

— „სარტორისი“ ნაადრევად წავიკითხე, ამბობთ. ამ ავტორს კიდევ ერთ ჩანაწერში ახსენებთ, როდესაც მის „ბიძია ბილი“ — ზე საუბრობთ — ეს მოთხრობა ცოტა ადრე რომ წამეკითხა, ფოლკლორის სწორუპოვარ მემოთხრობებზე დანერვილ ოპუსში შევიყვანდიო. ხშირად გეცვლება ლიტერატურული გემოვნება?

— გემოვნებაც შემეცვალა და ნიგნების მიმართ დამოკიდებულებაც.

რასაკვირველია, ისეთი აღარაა, როგორც 10-15 წლის წინათ. უფრო დაიხვეწა. გაცვილებით მკაცრი შემფასებელიც გავხდი, მეტი მოთხოვნები მაქვს მწერლებთან და ტექსტებთან. ძალიან ბევრი რამ ხელახლა ნავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ ის, რაც დღეს ხელისგულზე დევს, მაშინ ძალიან ღრმად იყო დაფარული.

— ანუ ლიტერატურის კითხვასაც სჭირდება თავისი ასაკი?

— რასაკვირველია. ძალიან მაგარი მწერლები 40 წლის ასაკის შემდეგ უნდა წაიკითხო. უფრო სწორად, შეიძლება ნაკითხული გქონდეს, მაგრამ ვერ მიხვდი, რასთან გქონდა საქმე. კონკრეტული ასაკის შემდეგ ნაკითხულის გააზრებაში საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება გეხმარება. 19 წლის ბიჭმა არ იცი, რა არის ომი, განსაცდელი, მძიმე შრომა. შეიძლება ეს ყველაფერი გადატანილი გქონდეს, მაგრამ რეალურად ვერ შეაფასო. ამას ასაკთან ერთად აცნობიერებ. შესაბამისად, დამოკიდებულებაც იცვლება ტექსტების მიმართ და თავად ტექსტებიც, რომელთა ნაკითხვაც გასურს.



— კიდევ ერთი შეკითხვა თქვენზე ჩანაწერებთან. „ერთი ჯგუფი ადამიანებისა ცხოვრობს და თან წერს. მეორე ჯგუფი კი ცხოვრობს იმისთვის, რომ წეროს. მე პირველების სიაში ვწერივარ“. რას გულისხმობთ ამ სიტყვებში?

— ზუსტად იმას, რასაც ვამბობ. არსებობს მწერლების კატეგორია, რომლებიც ცხოვრობენ იმისთვის, რომ წერონ. მეორე კი ცხოვრობს და წერს და წერა არის მათი ერთ-ერთი საქმიანობა. ჩემთვის მთავარი ცხოვრებაა. შეიძლება ცხოვრების რაღაც ეტაპზე სხვადასხვა საქმით იყო დაკავებული — იყო მინის მუშა, მასწავლებელი, ერთ მშვენიერ დღეს კი ნიგნი დანერო. მსოფლიო ლიტერატურის არაერთ წარმომადგენელს აქვს ასეთივე დამოკიდებულება ცხოვრებისა და მწერლობის მიმართ. მეც ამ ადამიანების რაზმის წევრი ვარ, ამიტომ, როდესაც ვამბობ, ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი საქმით ვარ დაკავებული, ვიდრე მოთხრობების წერა-მეთქი, მიინდა გვეროდეთ ჩემი გულწრფელობის.

— თუმცა ალბათ ის ადამიანებიც გულწრფელი არიან, ვისაც მწერლის საქმედ მხოლოდ წერა მიაჩნია და ამბობენ, რომ ამის გარდა არაფერი შეუძლიათ.

— მე კიდევ მგონია, ისეთ ნიგნებს, როგორც მიყვარს, ასეთები ვერც წერდნენ და ვერც მომავალში დანერენ. შეიძლება ძალიან სახელგანთქმული, ცნობილი და დაფასებული მწერლები იყვნენ — ქართველებიც და უცხოელებიც, მაგრამ მე სხვა პოზიცია მაქვს. ჩემი საყვარელი მწერლები ცხოვრებას ანიჭებდნენ უპირატესობას და მხოლოდ იმისთვის არ ცხოვრობდნენ, რომ ეწერათ. ეს არის უკიდურესი ეგოიზმი და საკითხისადმი გადაჭარბებული დამოკიდებულება. ლიტერატურა, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, არც უნდა დააქინო და არც გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭო. ცხოვრება ისეთი მრავალფეროვანია, ისეთი მშვენიერი, დაუქვემდებარო ერთ კონკრეტულ საქმეს, არასწორად მიმაჩნია.

ესაუბრა ნანა კობახიძე

დასასრული

ვინც აქ მოდის — ნამდვილად ჩვენიანია.

სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული უბანია. ძალიან მიინდა, „დიოგენე“ უბნის ნიგნის მალაზია გახდეს — საყვარელი ადგილი ჩვენი სამეზობლოსთვის, სადაც თავს მყუდროდ და კომფორტულად იგრძნობენ. ამ მიმართულებით რამდენიმე წარმატებული აქციაც გავმართეთ. ერთ-ერთი იყო საახალწლო ღონისძიება, რომელსაც „მორთე ნაძვის ხე და მიიღე საჩუქარი“ ერქვა. ამისთვის დავბეჭდეთ სპეციალური ფლაერები და შევთავაზეთ მსურველებს, ჩვენი ნაძვის ხე შენი დამზადებული ხელნაკეთი სათამაშოებით მოეერთოთ, სათამაშოებს ნიგნებში ვცვლიდით. უნიკალური ნაძვის ხე გამოგვივიდა, ძალიან ბედნიერი დღე იყო ყველასთვის.

— მალაზიაში შეხვედრები მხოლოდ იმ მწერლებთან იმართება, ვის ნაწარმოებებსაც „დიოგენე“ გამოცემს?

— ცხადია — არა. ჩვენთან ნებისმიერს შეუძლია გამართოს ნიგნის პრეზენტაცია, ან მოაწიოს საღამო. გვინდა, ეს წრე რაც შეიძლება გაფართოვდეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ღონისძიების გამართვა უფასოა. აქ ფუნქციონირებს კინოკლუბიც — ჩვენება ხუთშაბათობით იმართება, პატარა-პატარა კონცერტებსაც ვაწყობთ. მიმაჩნია, რომ ამ პროექტმა — მალაზია „დიოგენემ“ — ფინანსური თვალსაზრისით — არც მაინცა და მაინც, თუმცა იმიჯის თვალსაზრისით ნამდვილად გაამართლა. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

— უმეტესად რა სახის ლიტერატურა იყიდება?

— ალბათ, უფრო — საბავშვო ნიგნები. ჩვენი კონსულტანტები ცდილობენ სერიოზულ ლიტერატურაზეც გააკეთონ აქცენტი. მოგეხსენებათ, მალაზიისთვის კონსულტანტი რამდენს ნიშნავს, მას შეუძლია გადაწყვეტილება შეაცვლიყვინოს მყიდველს.

მალაზია არც ისე დიდია, მაგრამ

თამარ ლებანიძე:

„ნიგნი კითხვაში უნდა გაცვდეს“

სივრცე მაქსიმალურად არის ათვისებული და ოთხი ათასზე მეტ ნიგნს იტევს. აქედან უმეტესობა ქართული ნიგნებია, რაც ძალიან მახარებს. ვმართავთ ფასდაკლების აქციებს, კონკურსებს. თუ გინდა მკითხველი მოვიდეს, უნდა დააინტერესო, სულ რაღაც ახალს უნდა სთავაზობდე. ეს მუდმივი პროცესია.

— ქართველ ავტორებს რამდენად ხშირად გამოსცემთ?

— ხშირად არ გამოცემთ. ჩვენი შიდა ცენზურა ბოლო ხანებში კიდევ უფრო გამკაცრდა. გვყავს რამდენიმე ავტორი, რომელთაც ინტენსიურად ვთანამშრომ-

ლობთ. თავს უფლებას მივცემ, მათგან გამოვყო არამხოლოდ პროზაიკოსები, არამედ პოეტები, საბავშვო მწერლები. დავასახელებდი თუა თოფურიას. როგორც საბავშვო მწერალი, მას ულევო ფანტაზია აქვს და ალბათ ამიტომ, ყოფილი ასტრიდ ლინდგრენის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად შეარჩია. ამავე დროს, თუა ძალიან კარგი პოეტი, წერს მოთხრობებსაც. მიხარია, რომ მისი პროზაული და პოეტური კრებულები ჩვენთან გამოიცა. პროდუქტიულად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში თუა ლომიძეც. რაც შეეხება მოზრდილებს, ისთვის განკუთვნილ ლიტერატურას,

გამოვარჩევდი გურამ მეგრელიშვილს, რომელიც ამავდროულად ჩვენი მალაზიის მენეჯერია, და გელა ჩქევანავას.

— ბევრი ტექსტი შემოდის?

— ძალიან ბევრი. მახსოვს, დაახლოებით 15 წლის წინ საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი პრემიერული მწერალი, რომელიც ამავდროულად ერთ-ერთ გამოცემლობაში რედაქტორად მუშაობდა. ჩვენს ოფისში ის ქართველ მწერალთა ჯგუფს შეხვდა, სხვადასხვა თემაზე ისაუბრეს. მახსოვს, თქვა, როგორც რედაქტორს, დღეში საშუალოდ ოცი ტექსტის ნაკითხვა მიწევს. იმ ოციდან ვარგისი რამდენიაო, მგონი კოტე ჯანდიერმა ჰკითხა. არცერთი, უპასუხა. როცა ბევრი ტექსტი შემოდის, პროცენტულად დასაწუნცი მეთია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პერიოდულად კარგი ტექსტები არ იწერება.

ესაუბრა თამარ ჟურული



 ქარმა თეთრად მიმოფანტა
 ყვავილები ძირს...
 აპრილია, სუნთქავს მინა
 და ლამაზად წვიმს...
 მხოლოდ დედა დაუძღურდა,
 ვერ შლის მუხლს და წელს,
 მინას თეთრი წვიმა აწვიმს,
 დედა უნოდ წევს...
 რას ხედავს და სად დაფრინავს...
 ხმასაც აღარ მცემს!..

 დედა მეგონა უკვდავი,
 ცოტას ვჯავრობდი კიდევ...
 სადა ხარ, დედა, მითხარი,
 ზღვებზე დავკიდებ ხიდებს...
 მინდოდა ფერფლად ქცევა და
 გაფანტვა კიდით-კიდევ...
 ახლა კი შენთან ყოფნა და
 მინდა თავს შენს წინ ვხრიდე...
 რამდენი სიტბო, ტკივილი,
 დარდი და ჯაფა ზიდე!..
 აქ მინა დარჩა, შენ ცა ხარ,
 ჰოდა, გზაც მანდეთ მიდევს!..

 იმ კარის იქით, იმ კარის მიღმა
 თუ არის ხიდი, დარბაზი, კიბე...
 სადაც სამყაროს მზე ადგას ჯილად
 და ცას უძიროს არ უჩანს კიდე...
 თუ არაფერი — ტყუილი დიდი
 და მხრებით მხოლოდ სიკვდილი ვზიდე?!

 გავიხსენოთ ძველი დრო,
 წყნარ ცხოვრებას უარი!..
 წელთა სრბოლა შევიგრძნოთ,
 სიბერე ხომ ყრუ არის!?.
 ვიხმაუროთ, ვილხინოთ,
 მერე რა, რომ მივდივართ!..
 დავტკბეთ ყრმობის ხედვებით,
 ჩვენ ხომ მაღალ ხიდზე ვართ!..

 ეს გაუმარჯოს იმათ,
 ვისაც ზღაპრების სჯერა...
 მეც ასე ვიყავ წინათ,
 სიზმრებს ვხედავდი ფერადს.
 სიზმრებს ვინ ჩივის ახლა,
 ძილი მწყურია მშვიდი...
 ვგრძნობ უსაშველო დაღლას —
 ძლივსლა ვერევი სინდისს!..

 რა გავაკეთე, რა ვქენი,
 რაში გაეხარჯე დღენი?..
 არაფერი მაქვს სათქმელი,
 ჩემ თავს ვუყურებ წყენით!..
 უკმარისობა, სირცხვილი,
 აი, რა მიკრავს სუნთქვას...
 ვნახოთ, რას იტყვის სიკვდილი,
 ტყუილი ჯერ არ უთქვამს...

 როგორც მძიმე ავადმყოფი,
 სიკვდილის წინ მოიხედავს...
 გაგიღიმებს თბილად...
 ასევე მზე შემოდგომის,
 გეფერება, გაილერსებს
 და გგონია —
 რომ ზამთარიც სიკვდილივით
 აღარასდროს მოვა!..

 ნაბიჯი დამიძიმდა,
 მზერა ჩამიქრა...
 ვჩერდები,
 გავყურებ არსად...
 რომ მკითხოთ, ვერ გეტყვით —
 რას ვფიქრობ, რა მინდა,
 ან, თუნდაც, სად მინდა წასვლა...

 კარგად ვიცი, რომ მელით,
 ისიც ვიცი — გნახავთ,
 ამ ბედს ასცდა რომელი?
 შიშსაც არვის ვძრახავ!..

ზურაბ ლობჯანიძე



გზას გავყურებ გატკეცილს,
 კენჭიც არსად გდია...
 ამ კოსმიურ გზატკეცილს
 აქ სიკვდილი ჰქვია...

 შემოდგომამ მომიტანა
 ფიქრი, სევდა, ნალღელი,
 მაგრძნობინა კიდევ ერთხელ
 ეს ცხოვრება დამღლევი.
 შემახსენა წუთისოფლის
 გზა მოკლე და ტეხილი,
 გუშინ მნიფე, დღეს შიშველი,
 გაძარცული ხეხილი!..

 ორმოცდაათი წლის მერე,
 თავის გამოჩენა კი არა —
 თავის დამალვა მინდა!..

 ყველა ნაბიჯი გვაბრუნებს უკან,
 (თითქოს ტრიამელ მინდორს ვბარავდეთ!..
 მოეცათ მაინც საგზაო რუკა
 და მივსულიყოთ ისე კარამდე...
 არ გვევლო ასე ხელის ცეცებით,
 არ დაგვეკარგოდა რწმენა და აზრი...
 მივფორთხავთ — მივალთ — ვდგებით — ვეცემით,
 მიგვეყვება სუნი ბინძური ბაზრის!..

 ეს დღესაც მიკვირს, პოეტი რომ ვარ,
 დღესაც არ ვიცი, როგორ ვწერ ლექსებს...
 გაუხარელი ეს მძიმე შრომა
 სხვის გახარებას ოდესმე შეძლებს?..

არა მგონია — რადგან არ გვახსოვს —
 ვინ ვართ, რა გვინდა — ვის ან რას ვეძებთ...

 ლებელმა კაცმა ვაზი დავრგე,
 რომ გავახარო...
 საჭოჭმანო თუ ვქენი საქმე,
 გთხოვთ, სიცილი არ დამაყაროთ...
 არ თქვათ — სად ლებელი, სად ვაზი,
 თქვენი საქმეა კარტოფილი...
 ცა — ლურჯი, უსაზღვროდ ლამაზი,
 მთა — ზამთარ-ზაფხულ დათოვლილი...


 რა კარგია, რომ ვარ ბავშვი...
 (ბავშვად სიკვდილს არ ვნანობ),
 ხელთ მიჭირავს უფლის საშვი —
 ცად გაშლილი სამყარო...
 ისე, გულიც აღარ მწყდება
 (რადგან ყველა დაზრდილხართ...),
 მივალ, მისვლა არ ამცდება,
 თქვენ საკუთარ სახლში ხართ...

 გაზაფხულდა და
 არათუ სახლი,
 მთელი სამყარო
 დაპატარავდა!..

 დანყნარდი! რაც გაქვს, იკმარე,
 ნულა შფოთავ და ლელავ...
 აღარ შეგშვენის სიჩქარე,
 ნელა იარე, ნელა...
 ოდნავ დაღლილი ნაბიჯით,
 თოვლივით თეთრი წვერით...
 იქით ბრუნდები (რა გიჭირს...)
 იქ ხომ ბავშვობა გელის...

ღეზი

ვინმე იტყვის — რაა ლები,
 ვინ არიან ლებელები!..
 მე ჩემს ბავშვობაზე ვყვები,
 ჩემს ბავშვობას ვეფერები...
 ისე გეტყვით — ჭიშკარია
 ჩემი ქვეყნის ჩრდილოეთის...
 საქართველოს ის მხარეა —
 სადაც მთები ზეცას ერთვის!..
 ხალხი თბილი, ცოტა კუშტი,
 დევეკაცები მხნე, მაღალნი,
 მძლავრი კისრით, მძლავრი მუშტით,
 მძიმე შრომით მხრებმაგარნი!
 კიდევ იტყვით — რაა ლები,
 ვინ არიან ლებელები?..
 მე ჩემს დევეკაცებზე ვყვები,
 ჩემს ლამაზ ხალხს ვეფერები!



რუსმა ებრაელმა მწერალმა იგორ გუბერმანმა მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო - მსახურობდა ინჟინრად, იბეჭდებოდა თვითგამოცემით...

როგორც თავად ირწმუნება, მიღებული აქვს არაერთი ცისტერნა ალკოჰოლური სასმელი და გაბედნიერებული ჰყავს ქალთა არაერთი ბატალიონი.

როცა ასაკს ეკითხებიან, ასე პასუხობს: ბიბლიური ნოეს ხსენს...

იგორ გუბერმანი

დაიცხრა მრისხანება...

უთანხმოებით გამონვეული მრისხანება, შეურაცხყოფით, უმწიფობით გაგულისხმება... თვით ძველადღობისეული შეგონება — „მრისხანებდე მშვიდად“ — შესაძლოა, იყოს შეგონება იმაზე, რომ კრიტიკულ ჟამს აუცილებელია დანყნარდე, დაიოკო ნერვები, შეაკავო გადმოხეთქილი ლავა...

მინდა გავიხსენო ერთი ბრწყინვალე ისტორია სამართლიანი და შეუნიღბავი მრისხანების შესახებ... ეს 1949 წელს მოხდა. მაშინ მთელ იმპერიაში აღინიშნებოდა პუშკინის დაბადებიდან 150 წელი და ყოველ დონისძიებას აუცილებელია ოფიციალური სახე ჰქონდა.

ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ჭარმაგი და წყნარი მამაკაცი, გარეგნობით იმდენად მსგავსი პუშკინისა, რომ ბავშვები, რომელთაც წიგნებში ჰქონდათ ნანახი პოეტის პორტრეტი, ხშირად ადევნებოდნენ ხოლმე და თავს აბეზრებდნენ ყვირილით: „პუშკინი! პუშკინი!“ — რაზეც იგი ერთობ მტკიცეულად რეაგირებდა, დაცინვად მიიჩნევდა.

ძეგლს, „რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ!“ და ამ სახელდახელო პოსტამენტზე ასულს „მალაი“ სტუმრებისათვის პოეტის ლექსი: „Еще не поздно...“ უნდა ნაეკითხა. ამ მიზნისათვის გამოიძენა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ყავისფერი პალტო და მისივე მწვანე შლაპა — განზე განვიდოდა ხელში — როგორც ბრინჯაოს პუშკინია მოსკოვში... მცირეოდენ გასაჭირს კი ნააწყენდნენ: ამ შუა ხნის ქართველმა თითქმის არ იცოდა რუსული ენა, ხოლო ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც საიდანაც ახსოვდა, სრულიად განსხვავებული იყო პუშკინის სიტყვიერი მარაგისაგან, თუმცა სასწრაფოდ მიამაგრეს მასწავლებელი და ერთი თვის განმავლობაში (ყველაფერი ადრევე მზადდებოდა) შეისწავლა ლექსის დასაწყისი სტრიქონები...



დათქმულ დღეს „პუშკინი“ კიბის მემკვიდრეობით აღიმართა პოსტამენტზე და მთელმა სოფელმა ძეგლის გარშემო მოიყარა თავი, მაგრამ დელეგაცია არა და არ ჩანდა. როგორც ტელეფონით შეიტყვეს, რომელიღაც ახლო ქალაქში ბოლო არ უჩანდა ზარ-ზეიმისა და ტამ-ფანდურს. მცირე ფიზიოგომიური მოთხოვნის შემთხვევაში „პუშკინმა“ ტაიმ-აუტის ალება ითხოვა. რადგანაც პოსტამენტი მაღალი იყო, მოუტანეს კიბე, ჩამოვიდა, კუთხეში, უჩინარად ადგილას მოისაქმა, მაგრამ გონივრულად გადაიხანა ხელები და წყალი შეისხა სახეზე, რომელზეც მომწვარი კორპით მოხატული ჰქონდა ბაკენბარდები; ცხადია, ისინი გვარიანად შეილახა... სტატისტი ნერვიულობდა, ტუჩებს ამოძრავებდა, იმეორებდა დასწავლილ სიტყვებს, რომელთა ხშირ წარმოთქმას უკვე სიგიჟემდე მიჰყავდა...

როგორც იქნა გზატკეცილზე გამოჩნდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა შავი საუფროსო მანქანების კავალკადა. ჰოდა, უმალ გაირკვა, რომ ტრაგედია ახლოვდებოდა: სტუმრები გაჩერებას არ აპირებდნენ, მხოლოდ ოდნავ შეანელებდნენ სიჩქარეს, რათა გზატკეცილზე მდგარი ხალხი



არ დაეზიანებინათ. სახეზე ყველას გამყინავი წყენა-სიბრაზე აღებეჭდა. და ამ დროს მალაი პოსტამენტიდან, როგორც მთის არწივი, მსუბუქად დაეშვა „პუშკინი“, ოდნავ ნაბობრძიკა, არ დავარდნილა, ხელიდან არ გაუშვია ფეტრის ქუდი, ანგარიშმიუცემლად გამოუდგა სელააჩქარებულ მანქანებს.

— Еще не поздно, თქვე ნაბობრძებო, — ყვიროდა იგი, — I æi ã ã ð è í ã, აყროლებულო ვირიშვილებო! — ქუფრი ხმით მიჰყვიროდა, ერთმანეთში ურევდა საკუთარ და პუშკინისეულ ლექსიკას, — Неi ð i ã è i è i ò ñò ð ã i è i ð ð, თქვენი დედაც...

და დავარდა გზაზე, უიმედოდ დათხვარა თავმჯდომარის გამოსასვლელი პალტო, მაგრამ მის მომწვარი კორპით

კითხავს, თუ რის გამო იხდიდა სასჯელს, იგი მოკრძალებით, შეიძლება ითქვას, სიყვარულითაც მეტყეოდა, გამუდმებით მეკითხებოდა რალაც-რალაცებზე, მისგან თბილი იმპულსებით მოედინებოდა გაურკვეველი უნარ-შესაძლებლობანი. ერთხელაც ისე მოხდა, რომ მარტონი დაგვტოვეს უეშმაკო, მარტივი სამუშაო ხელსაწყოების სადარაჯოდ (წერაქვები იყო, ნაჯახები, ნიჩბები, ძალაყინები — მაშინ ელექტრობოძებს ვაყენებდით). მოცალეობის ჟამი მოგვეცა და ჭადრაკს ჩავუჯექით. ის ჩემზე ბევრად ძლიერი მოჭადრაკე იყო და მე, დროდადრო, ანგარიშმიუცემლად გაკეთებულ სვლებს უკან ვიბრუნებდი — ახალ-ახალ „ჩანაფიქრებს“ ვახორციელებდი. ალიოშა მუდამ კეთილმონყალედ მახრუნებინებდა სვლებს. და აი, უკვე მერამდენედ, როდესაც დაფიდან აღებული ფიგურა კიდევ ერთხელ გადავაადგილე არა პირველად დასმულ უჯრაზე, უნებლიეთ, სპონტანურად შევეკითხე, რომელი მუხლით იხდიდა სასჯელს.

— მკვლელობის გამო, მირონი, — გულგრილად მიპასუხა, — ასმეორე, განზრახ მკვლელობის მუხლით ვარ გასამართლებული.

— რა, დათვერი? — ჩავეძიე.

— არა, წვეთიც არ დაგვიღვეია, — მითხრა ალიოშამ, — ამხანაგთან ჭადრაკს ვთამაშობდი. კედელზე მამამისის სანადირო თოფი ეკიდა და აი, ამ ეშმაკის იარაღმა მაცდუნა. ჩემი პარტნიორი სულ სვლებს იბრუნებდა. გადადგამს ფიგურას, მერე ვირივით სხვას გადაადგილებს, თანაც ხან იმ უჯრაზე და ხანაც სხვაზე. ჰოდა, რალაცამ მომიარა, შევეკამათდი და ველარ მოვითმინე.

ფიგურა ჩემ ხელში ერთობ შესამჩნევად დამძიმდა. ნამითაც არ გამიპარებია მზერა მინაზე დაყრილი ჩვენი წვერნამახული სამუშაო ინვენტარისაკენ, ოღონდ ეგ კი იყო: მწვავედ და მეყსეულად შევიგრძენი მათი სიახლოვე.

— გადავიფიქრე, ალიოშა, — ვთქვი მხნედ და ბუნებრივად, — რახან ეს სულა გავაკეთე, ჯანდაბას, ასე ვითამაშებ. შენი სვლაა.

და გავავარძელეთ ჭადრაკის თამაში, ვენეოდი სიგარეტს, განვსჯიდი იმდროინდელ ჩვენეულ ცხოვრებას, რომელიც იყო მშვენიერი, ოღონდ საკვირველი.

ალიოშა დნებოდა აღფრთოვანებისაგან, როდესაც მე, ფილოსოფიურ ლაბირინთებში ჩაფლული, ვიმეორებდი ორპუნკარედს, რომელიც, ამკარად ჩანდა, მისთვის პირველი მიახლოება იყო ლექსთან: „Èþ àè æáí ýòñý, ááóòñý, Á í ài í á ã ð òi í áóòñý“.

თარგმნა ოლეგ გოლიაქე

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 7 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com